

F412
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 12 დეკემბერი 1957



ი, თქვენ ხართ მოსკოვენი. ზამთარი. ცივი, რუსული ზამთარი, რომელსაც მიუხედავად მკაცრი ყინვისა, მაინც აქვს თავისი სითბო და სილამაზე. მიდინარე ქუჩაში, თეთრად შესუდრულია მოედნები, ხეები, სახლები, თქვენ ხედავთ ფანჯრის იქით, რაფაზე მდგარ ქოთანში ჩარგულ პატარა მცენარეს, რომლის მწვანე ფოთლებს შორის ყვითლად ღვივის ნაყოფი. ეს ლიმონია, მიღებული საქართველოდან, ოთახის ლიმონი.

ლიმონის ნერგები გამოჰყავთ ახალ-ათონში. აქ არის მოსკოვის ქალაქის საბჭოს სუბტროპიკული და ბოლქეოვანი კულტურების შავი ზღვის კომპინატი. თითქმის ოცი წელიწადია არსებობს ეს თავისებური საწარმო, რომელსაც საამქროების ფართო ტყეები გაუბამს სოხუმში, გალსა და ბათუმში. ამ საამქროებში დიდ საქვეყნო საქმეს აკეთებენ, ზრდიან და ახარებენ მილიონობით ცალ ლიმონს, წყავს, როზალიას, ბუქსუსს, ათასი სახისა და ჯურის ვარდს, პალმას და შემდეგ ამ მარადმწვანე და სურნელოვან მცენარეებს აგზავნიან ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქში, მისი ბაღების, სკვერებისა და ოთახების დასამშვენებლად. მარტო თვალისა და გულის ვასახარებლად როდი კეთდება ეს საქმე. შავი ზღვისპირეთის მცენარეები ახალნიადაგზე კარგად გრძნობენ თავს, კიდევ უფრო აძლიერებენ ქალაქის ფილტვების მოქმედებას და აქტიურად დგებიან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

მოსკოველთა თბილ ოთახებში ლიმონის პატარა ზე წლის ყოველ დროში ინახავენ ნაყოფს, ერთი ტოტი რომ ბაიასფერი ლიმონებით არის დახუნძლული, მეორე ტოტზე მწვანე ნაყოფი ჰკიდია, ხოლო მესამეს და მეოთხეს თეთრი ყვავილი გამოუსხამს და საამური სურნელით აუფსია ოთახი.

ამიტომ არის, რომ ყოველ ცისმარე დღეს კომპინატში უხვად ღებულთხენ წერილებსა და მითხრონებს. ბევრ მოსკოველს უნდა ჰქონდეს თავის ოთახში ლიმონი, სუბტროპიკული პალმები და ვარდები, და განა მარტო მოსკოველს! აი, წერილები ლენინგრადიდან, ხაბაროვსკიდან, სვერდლოვსკიდან...

მაგრამ ძნელია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მეურნეობას ასოც პექტარზე იმდენი მცენარე ვერ მოჰყავს, რომ მათმა ნერგებმა მთელ საბჭოთა კავშირში გაიღვან ფესვები.

მარტიდან ნოემბრამდე, რვა თვის განმავლობაში ყოველდღე სოხუმშიდან აფრენილი საჰაერო ხომალდები სერავენ ლურჯ ცას და მიეშურებიან მოსკოვისაკენ: მათ შიგნით ვარდები, ხოლო პალმები და ბოლქეოვანი მცენარეები კი შესახლებულან რკინიგზის ვაგონებში და ისე მიბრძანდებიან მოსკოვს.

ხანდახან ეს თვითმფრინავები და ვაგონები მარშრუტს იცვლიან. არც ისე დიდი ხნის წინათ, ახალ-ათონელი მცენარეები ეწვივნენ როსტოვს და იქაურ ზაღს შნო და ლაზათი შეჰმატეს. არც თბილისისათვის დაუკლიათ ხელი. რუსთაველის პროსპექტზე ახალი სკვერი ახალ-ათონის ვარდ-ყვავილებმა და მარადმწვანე ზუზუქებმა შეჰქმნეს.



ქ. შიშიაძე

ისინი უფრო შორსაც იყვნენ, ჩვენი სამშობლოს საზღვარგარეთაც. მატარებლის ეშვლონები მონლოლეთში ჩავიდნენ და ულან-უატორის ბაღი ისე გაამშვენიერეს, რომ ამით აღფრთოვანებულმა ქალაქის მშრომლებმა მადლობის წერილი გამოუგზავნეს ათონელებს.

ლენინის გენიამ ასე შესცვალა დრო. ოდესღაც მონლოლები ჩვენი სიკვდილსა და გადაშენებას სთესავდნენ, მაგრამ ეს მწარე დრო წარსულს ჩავაბარეთ, ახლა მონლოლებს გულის კარები გაუღეთ და გზაზე მეგობრობის ვარდ-ყვავილები მოგვინეთ.

როცა კომპინატის ბაღები, სათბურები და სანერგეები დავათვალიერებ, გამაოცა მისი მუშაკების ფუსფუსმა. ისინი პელებეგით თავს დასტრიალებენ ვარდებს, კვლიდან კვალში დაჰქრიან და მცენარეებსაც არ ასვენებენ, ზოგი მიწიდან ძირფესვიანად ამოაქვთ და კასრებში რგავენ, ზოგს მარტო ყვავილებს აჭრიან, ზოგსაც სველ ტილოში ახვევდნენ და საბარგო ავტომობილებში დებდნენ.

კარგი სანახავია პალმების ქალა. ათასი ჯურისა და ჯივის პალმას ხელი მზისკენ გაუშვრია. ქოქოსი ნაყოფიც

გამოუსხამს, მაგრამ ჩვენს პირობებში დამწვანებას ვერ ასწრებს. თესლების შავი მტევნები ბევრ პალმას ჰკიდია, ზოგის მარცვლი მიწაში ჩაბნეულა და იქიდან სიმინდით ყური ამოუქცევა.

შეპალმეობა აქ კარგად არის განვითარებული. მთავარი ყურადღება მათ ყინვაგამძლეობას ექცევა. აქაურმა ყინვაგამძლე პალმებმა დაამშვენეს თბილისის, ლეოვის, სტალინის და ტაშკენტის სკვერები და ვაზონები.

ახალ-ათონიდან დაძრული მცენარეები ჩამწკრივდნენ ციმლიანსკაის ზღვის სანაპიროზე, კარგად შეეგუენ იქაურ მღებარეობას და ახლა მათ მშვენიერ ჩრდილში ლაღად ისვენებენ მშრომელები.

ჰოლანდია ცნობილია შესანიშნავი ფერის, სილამაზისა და სურნელის მქონე ვარდ-ყვავილებით. ჰოლანდიელები სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად აწყობენ ყვავილოვან და დეკორაციულ მცენარეთა გამოფენას. შარშან ასეთი გამოფენა მოეწყო მოსკოვში. ამ უცხო მცენარეთა გვერდით საქართველოსაც დაეთმო სათანადო ადგილი. შავი ზღვის პირიდან დაიჭრა ფინიკისა და ქოქოსის პალმებით, ჩაის ვარდებით, სუმბულით,



ტიტებით, როზალითა და ბუქსუსით დატვირთული თვითმფრინავი. კომპინატის დირექტორმა იონა გაბუნიაშვილმა შესანიშნავად მოაწყო მოსკოვში ჰოლანდიურ მცენარეთა გვერდით მისი მთელი გამოფენილი მცენარეთა გამოფენა. ერთი შეხედვით ეს ფერად-ფერადი, საუცხოო ვარდები და მათ ირგვლივ დაფრქვეული სურნელი იყო რაღაც დიდი სიხარულისა და ზღაპრული სილამაზის ჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო ორი სამყაროს — ბურჟუაზიული და სოციალისტური სამყაროს მეგობრული შეჯიბრება ადამიანის უკეთ მომსახურებაში.

გამოფენას ზღვა ხალხი მოაწყდა. ზოგმა ქართველებს მოუწონა ქოქოსის პალმა, რომელსაც ფოთლები მარაოსავით გაშლილი ჰქონდა, ზოგმა ჰოლანდიის ტიტა შეაქო, შრომანის სურნელი ესამოგნა. საგამოფენო ყიურნი კი ახალათონელებს პირველი ხარისხის დიპლომი მისცა, რაც თავისთავად მეტყველებს ჩვენს წარმატებაზე.

ახალათონელმა მეყვავილებმა წელსაც მიიღეს გამოფენაში მონაწილეობა. ეს იყო ისევ მოსკოვში, მაგრამ, ამჯერად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის მეყვავილებთან ერთად. როგორც ცნობილია, გერმანიის ქალაქ დრეზდენში მეყვავილეობის სპეციალური ინსტიტუტი არსებობს. აქ სწავლულებს გამოჰყავთ ვარდების ახალ-ახალი ჯიშები და კიდევ უფრო სრულყოფენ არსებულს. დეკორაციულ მცენარეულობას დემოკრატიულ გერმანიაში უდიდესი ყურადღება ექცევა. ამას ნათლად ადასტურებს წილს მოწყობილი გამოფენა.

ჩვენთან საქმარში იონა გაბუნიაშვილმა:

— ძალიან მომეწონა გერმანული ყვავილები, მათ მომხიზველელი სილამაზე და სასიამოვნო სურნელი აქვთ. გამოფენაში ბევრი რამ შემიძინა, დემოკრატიულ გერმანიაში განსაკუთრებით დიდად განფრთხილებული ყოფილა დეკორაციული და მარადმწვანე მცენარეულობა. ჰიტლერის მატონობის დროს აქ ამისი მსგავსი არაფერი იყო, მაგრამ აი, ხალხმა რომ თვითონ აიღო თავისი ხელში ძალაუფლება, დრეზდენის ცნობილმა ინსტიტუტმა ისევ გაშალა თავისი ნაყოფიერი მუშაობა და ბევრი ძვირფასი ახალი ჯიშის მცენარე გამოიყვანა. გამოფენის ყიურნი მცემ შემეყვანეს, ჯილდოები უხვად დარჩედა და ერთი მათგანი ახალ-ათონის მეურნეობამაც მიიღო.

იონა გაბუნიაშვილის უმიძის თავისი ვარდების ქება, მაგრამ მისი კაბინეტის კედლებზე და თვით საწერი შავი მინის ქვეშ ვაფენილი ქების სიგელები აშკარად ლაპარაკობენ ახალათონელთა ნაყოფიერ მუშაობაზე.

ათონელები ყოველ წელიწადს მონაწილეობენ მოსკოვის სასოფლო-ურნეთ გამოფენაში და მალაღობებსაც იმსახურებენ.

ახლა ათონელები დღედაღამ დაძაბულად მუშაობენ, არ ზოგავენ ძალსა და ცოდნას, იმისათვის, რათა ყველა მოსკოველის ფანჯრიდან ლიმონმა და ყვავილმა გამოანათოს, სამშობლოს გულის ბაღებსა და სკვერებს ახალ-ახალი მცენარე შეემატოს.

— ყვავილები, ყვავილები მოსკოვს!

სომეხი და ქართველი ერის მეგობრობას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ამ მეგობრობაზე უმდერაით ორივე მოძმე ხალხის დიდ შვილებს: საიათნოვას, ა. წერეთელს, გ. ხუნდუკიანს, ოვანეს თუმანიანსა და სხვებს. მაგრამ ამბობენ, წერილობით სიტყვას არასოდეს არ ძალუძს ადამიანების ურთიერთობის ყველა ნიუანსის სრულად გამოხატვა, ის მუდამ თავშეკავებული და ერთგვარად ზომიერია, ვიდრე პირადი შეხვედრები და საუბრები.

ეს შეხვედრება შეიძლება არასდროს ისე არ მართლდებოდეს, როგორც სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის, მიქოიანის სახელობისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეთა მეგობრობაზე მსჯელობისას.

ეს მეგობრობა ამ 20 წლის წინათ დაიწყო. დაიწყო ჩვეულებრივად, ისე როგორც საზოგადოდ ცნობილია ჩვენში — ნატანებელმა კოლმეურნეებმა წერილით მიმართეს სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს და მოუთხრეს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დარგში შექმნილ გამოცდილებაზე. ამ წერილმა მხურვალე გამოხმაურება პპოვა სომეხ კოლმეურნეთა შორის. ერთ ხანს მოძმე კოლმეურნეები თავიანთ ყველა წარმატებას სიხარულით აცნობდნენ ერთმანეთს. შემდეგ კი გადაწყვიტეს ჩამშულიყვნენ ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში. სიტყვა საქმედ აქციეს და 1938 წლის 15 ნოემბერს ნატანებში ნალბანდიანელ კოლმეურნეთა წარგზავნილებსა და ნატანებელ კოლმეურნეთა შორის ოფიციალურად გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების პირველი ხელშეკრულება.

...აი შვიი წლის სანაპირო, აქ მდებარეობს ციტრუსების ბაღებით და ჩაის პლანტაციებით გარშემორტყმული ქართული სოფელი ნატანები. ამ სოფლის კოლმეურნეობის დაარსების პირველ წლებში ციტრუსების კულტურას ეკავა 86 ჰექტარი, ჩაის — 6. დღეს ციტრუსების ბაღი გადაჭიმულია 871 ჰექტარზე, ხოლო ჩაის პლანტაცია 891-ზე. გაიზარდა მოსავალიც. თუ 1939 წ. ნატანების კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 430 ტონა ჩაის მწვანე ფოთლი, 1956 წელს ჩააბარეს 988 ტონა. შრომის ნაყოფიერების ამაღლებით ნატანებელი კოლმეურნეები ერთ ჰექტარ ჩაის ფართობიდან საშუალოდ იღებენ 4500-5000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთლს, მაშინ, როცა მეზობელი კოლმეურნეობები იღებენ 2500-3000 კილოგრამს.

მაგრამ ნატანებელ კოლმეურნეთათვის უცხოა წარმატებისაგან თავბრუსხვევა, მათ გადაწყვიტეს კიდევ უფრო გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, რომ მე-6 ხუთწლიდის მეორე წელს, საკარმიდამო ნაკვეთებიდან აღებული მოსავლის ჩათვლით, სახელმწიფოს ჩააბარონ 190.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლი და 5-6 მილიონზე მეტი ცალი მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. განთავსდნენ სოციალისტური შრომის გმირი, უმაღლესი საპტიის დეპუტატი დარეჯან ტაკიძე და მისი რგოლის წევრები — ლოლა გოგითიშვილი, ნორა მიმინაშვილი. თამარ ტაკიძე, ბუბულა ნიკოლაშვილი, ნაზი მიმინაშვილი და სხვები ჩაის პლანტაციებისაკენ მიეშურებან.

აღმაჯობას განიცდის ნატანების კოლმეურნეობის სხვა დარგებიც. წველადობა 1953 წელთან შედარებით 2,5 გაიზარდა, ასეთსავე ზრდას მიაღწია ხიშინდის კულტურამ. მნიშვნელოვნად იმატა კოლმეურნეთა ფულადმა შემოსავალმაც.

... სიცოცხლე ჩქეფს. ხალხიანი შრომის ფერხულია არარატის ველზეც. აქ არის გადაჭიმული ნალბანდიანელი კოლმეურნეობის ბაშბის პლანტაციები, ვენახები და ხილის ბაღები, ხოლო შორს ალპურ საძოვრებზე შეფენილია მათი საქონელი.

20 წლის მანძილზე ამ კოლმეურნეობის ბაშბის პლანტაცია 820 ჰექტარიდან 540 ჰექტარამდე გაიზარდა, მოსავალი — 4-ჯერ. 15-ჯერ გაიზარდა ვენახის, 12-ჯერ ბაღ-ბოსტანის ფართობი, მოსავალი კი — 7 და 12-ჯერ. 1937 წელს კოლმეურნეობას ჰყავდა 81 ძროხა, აშუამად კი 221. სიმინდის მოხაველობის ამაღლებით განმტკიცდა საკვები ბაზა. ხაგრძნობდა იმატა წველადობამ. 12-ჯერ გაიზარდა წერილფხვა საქონლის რაოდენობა. თუ 1937 წელს ერთ ჰექტარზე იღებდნენ მხოლოდ 6,8 ცენტნერ ბაშბას, ახლა იმავე ფართობზე იღებენ 80-85 ცენტნერს.

ბაშბის კრეფის ოსტატი სედა ვართაზარიანი და მისი დობილები როგორც ყოველთვის, სიტყვას საქმედ აქცივენ... ნალბანდიანში კოლმეურნეობის



მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი სოციალისტური შრომის გმირი დ. ტაკიძე უჩვენებს სომხეთის კოლმეურნეებს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას.

ფართობებზე ვენახს 75 ჰექტარი უკავია. მას დღე-ღამე თვალისჩინი უფლის თავის საქმის ოსტატის მირიან მანუკიანის ბრიგადა.

თუ 1937 წელს ნალბანდიანში შრომადღეზე ფულად გაცა 1 მანეთი და 25 კაპიკი, აშუამად ამ ღირებულებამ 20 მანეთს მიაღწია.

სახე იცვალდა ამ საკოლმეურნეო სოფლებმა. გაიზარდა, დამწვენდა აქ — საქართველოში — ნატანები, იქ — სომხეთში — ნალბანდიანი. კოლექტიური შრომის ბარაქამ ამ სოფლებს შესძინა უფლები და აფთიაქები, სკოლები და საავადმყოფოები, კომუნა ქართული ობედი და ტუფის ერთ-ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები და ბავები, კინოდაზღვარები და კავშირგაბმულობის ობიექტები, რადიოკავშირი და ტელევიზორები...

ქვეშარტად ახალი, სოციალისტური ცხოვრების უქპით არის განათებული ეს სოფლები. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა თავად გურიელის მოურავები სისხლს უშრობდნენ ნატანებელ გლეხებს; ასევე მწარე მოგონებად დარჩა ის დრო, როცა არარატის ველზე გვაღვისაგან გადამწვარ, აბეღივით გამოშრალ მიწას კავით ჩიჩქინდნენ ნალბანდიანელების მამა-პაპანი და გაჩენის დღეს იწყებდნენ. ნატანებში თუ ნალბანდიანში მიწაც განახლებულია და ბარაქიანი, ხალხიც ხალხიანი და ბედნიერი. აულტორიო და შრომისმოყვარე როცა დაღამდება, ილიჩის ნათურები აელვარდებიან, შემოქმედებითი შრომის შემდეგ ზოგნი ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ, ზოგნი რადიომიმღებებსა და ტელევიზორებს ჩართავენ, ახალგაზრდები კი სიმღერებსა და ცეკვას გაჩაღებენ.

ერთმანეთთან სტუმრობის ტრადიცია ნამდვილი დღესასწაულია ნატანებში თუ ნალბანდიანში. როცა მე-18-ჯერ აფორმებდნენ სოცეზიბრების ხელშეკრულებას, ნალბანდიანში ქართველმა სტუმრებმა თავიანთ მეგობრებს საჩუქრად გადასცეს ქართველ-სომხეთა ძმობის ამსახველი ქანდაკება: ა. წერილი, გ. ხუნდუკიანს უეთხავს მეგობრობის ლექსს:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი, მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა, ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის, ერთ მიდამოსი და ერთი მთისა“.

არც ნალბანდილები დარჩნენ ვალში, ისინიც ძვირფასი საჩუქრით შეეგებნენ სტუმრებს: ქართული ორნამენტებით დამშვენებულ აბრეშუმის ხალიჩაზე გამოსახული შოთა რუსთაველის დიდი პორტრეტით.

ორივე კოლმეურნეობას გამოყოფილი აქვს მიწის ნაკვეთები, რომელსაც „მეგობრობის ბაღი“ ეწოდება.

„მეგობრობის ბაღის“ იდეა შეიქმნა ამ ორი კოლმეურნეობის მეგობრობის ამსახველი ფილმის სცენარის დამუშავების დროს „ურდვერი მეგობრობა“ (სცენარი ს. მანველიანისა, რეჟისორი შ. ხომერიკი. ოპირატორი დ. არშუმანოვი) და შემდეგ სინამდვილედ იქცა.

თბილისის ლენინის სახელობის კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა“ შექმნა სურათის სომხური ვარიანტი და საჩუქრად გაუგზავნა ერევნის კინოსტუდიას, მეორე ეგზემპლარი კი — ნალბანდიანის კოლმეურნეობას. ამ ფილმს სომხეთის ეკრანებზე დიდი წარმატება ხვდა. იგი მოწონებულია, აგრეთვე, საკავშირო და დემოკრატიულ ქვეყნებში სადემონსტრაციოდ.

ნალბანდიანელების „მეგობრობის ბაღში“ ვენახია გაშენებული, ნატანებელ კოლმეურნეთა ბაღში კი — ციტრუსები. აღებულ მოსავალს ერთმანეთს უგზავნიან.

ამას წინათ ნალბანდიანელ კოლმეურნეებს ესტუმრენ ნატანებელი კოლმეურნეები. „მეგობრობის ბაღში“ ყოფნისას, სადაც თავი მოეყარა მთელ სოფელს, ტაშის გრაილში გაისხნა „მეგობრობის ობელისკი“, რომელსაც ქართულ და სომხურ ენებზე აწერია „მეგობრობის ბაღი“. სომხური ფერადი ტუფისაგან გამოთლილ ობელისკს ამშვენებს საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო დერბის ემბლემა.

ნატანების კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით, ნატანების კოლმეურნეობის „მეგობრობის ბაღშიც“ შენდება „მეგობრობის ობელისკი“, რომელიც გაისხნება მაშინ, როცა ესტუმრებიან ნალბანდიანელი კოლმეურნეები.

ქართველ და სომეხ კოლმეურნეთა დიადი მეგობრობა ამ ორი ხალხის ათასწლოვანი მეგობრობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია.

აჩილ დავითიანი

ნატანები — საქართველოში

ჭიათურის



ფოტო რ. აკოფოვისა

ზესტაფონ-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ხაზის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები 1949 წლიდან დაიწყო.

საუცხოო სანახავე იყო ყვირილას ხეობა მშენებლობის პირველ დღეებში. მდინარის ორივე ნაპირას გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა. მთელს ტრასაზე — მარტოთუბანში, ბოსლევში, ჯოყოეთში, ზესტაფონსა და ჭიათურაში სახელდაწლოდ აიგო დროებითი, მაგრამ საესეებით საგულდაგულო საცხოვრებელი სახლები, სასადილოები, ფარდულები, გაიხსნა რამდენიმე არასრული სკოლა და ბავები მშენებელთა ბავშვებისათვის. ზესტაფონში აიგო 35 საწოლიანი სპეციალური საავადმყოფო, ჩამოყალიბდა სამი სახაზო ამბულატორია, ოთხი საჭეძომო და ხუთი საფერშლო პუნქტი სადღეღამისო შორიგეობათ.

მშენებლები ჩამოვიდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, აზერბაიჯანიდან, ციმბირიდან, სომხეთიდან, — ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. მათ აერთიანებდათ ერთი პატრიოტული სურვილი; განემტკიცებიათ საბჭოთა კავშირის ძლიერება, ხელი შეეწყობათ საბჭოთა საქართველოს აყვავებისათვის.

მთელს ტრასაზე დულდა შემოქმედებითი მუშაობა, ინგროდა უზარმაზარი კლდეები, რკინა-ბეტონის არტახები გზას უცვლიდა მდინარე ყვირილას, გაყავდათ ხიდეები, გვირაბები... ზესტაფონ-ჭიათურის 36 კილომეტრიანი ფართოლიანდაგიანი ხაზი — ეს არის ორი მილიონი კუბური მეტრი მიწის ყრილი, 75 ათასზე მეტი კუბური მეტრი საყრდენი კედელი, მრავალი სპეციალური ნაგებობა.

მთელი ტრასა სამ უმთავრეს სამშენებლო უბნად დაიყო... პირველი უბანი, რომელსაც უბნის უფროსი ვ. ქუქუნაძე ხელმძღვანელობდა, აშენებდა საელმაგლო დეპოს და ეწეოდა ქ. ზესტაფონის სადგურის გაფართოებას. იასონ მჭედლოძისა და მ. ვალდაძის მესუთე-მესამე სამშენებლო უბნები კი აწარმოებდნენ მიწის გაკისის მომზადებასა და ლიანდაგების დაგებას მთელს ტრასაზე, — ზესტაფონი-რკვია, — რკვია-დარკვეთი, მშენებელთა საბრძოლო ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ვალდებული იყვნენ ამ მაგისტრალზე მატარებელთა მოძრაობა გაეხსნათ მიმდინარე წლის სექტემბრის მეორე ნახევარში. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ, შიგასაწარმოო რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ, მშენებლობაზე ტექნიკის უახლეს მიღწე-


თენგიზ გელაშვილი

ვთა დანერგვამ საშუალება მისცა მშენებლებს ვადამდე უზრუნველყოთ პირველი მატარებლის გატარება მთელს ტრასაზე.

როცა ყველაფერს ამას თვალნათლივ უყურებთ, გული სიხარულით გეცხებათ და უსაზღვრო პატივისცემით იმსჯელებით იმ ადამიანების მიმართ, ვინც ამ გზას აშენებდა...

მთელს გზაზე ცნობილი არიან შრომითი მამაცობით მთავარი ინჟინრები ა. ცირულნიკოვი, პ. სტაქაძე, შ. ტულუში, მესუთე უბნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ა. ჩანჩალეიშვილი, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. გეიკო, მიწისმთხრელთა ბრიგადირი დ. ზიზიბაძე, მექსკავატორენ. კუდიანოვი, დამხმარე მუშათა ბრიგადირი ვ. ხო-

ჭიათურის მარგანეციტ დატვირთული მატარებელი.



ჯანაშვილი, ლიანდაგამგებთა ბრიგადირი ვ. პეტრენკო, მეტეტონე მ. შაშური და სხვები.

თანამედროვე სტილზე აგებული 17 რკინიგზის ხიდი და ორი ესტაკადა, რომლებიც თანამედროვე რულად განლაგებულან მთელს ტრასაზე, ზესტაფონ-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ხაზის მშენებმას წარმოადგენს.

ამ ხიდებს გარდა მათ ააშენეს ზესტაფონის და ჭიათურის ხიდეები. ხიდების მშენებლები დღეს სიამაყით აგონებენ წარსულს... ეს იყო დაუვიწყარი დღეები... ბრძოლა სტიქიასთან, ბრძოლა საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. საამშენებლო უბნები, ცვლები, წამყვანი პროფესიის მუშები, — სამონტაჟო საამქრო იქნებოდა ეს თუ საარმატურო, სადურგლო თუ მეტეტონეთა, თავდადებით იბრძოდნენ სოციალისტური შეჯიბრების დროში... იბრძოდნენ ერთი საერთო მიზნის მისაღწევად — გადამდე ადრე აშენებიათ პროექტით გათვალისწინებული ხიდეები.

ჩატარებულ სამუშაოთა მთელს კომპლექსში ყველაზე რთულ უბანს გვირაბების მშენებლობა წარმოადგენს... ამიტომ არის, რომ, როცა ამ მშენებლობის ისტორიას ეცნობით, არ შეიძლება განსაკუთრებული ინტერესით არ შეჩერდეთ სახელოვან გვირაბმშენებელთა ცხოვრებაზე, მათ შემოქმედებით შრომაზე, იმაზე, თუ როგორ აღიზარდნენ ქართველ გვირაბმშენებელთა სახელოვანი კადრები. გვირაბების მშენებლობა მუშაობის თავისებური სტილით გამოირჩევა. აქ შრომა უმთავრესად მიწის წიაღში წარმოებს და, გარეშე ადამიანებზე მისი სილიადე ნაკლებად ახდენს შთაბეჭდილობას, მაგრამ, აბა, იმგზავრეთ ზესტაფონ-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი შტოს ახალ გზაზე... აქ არის 22 გვირაბი და ორი გალერეა — ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს მეტროპოლიტენის ზღაპრულ გვირაბ-პირიში მიჰქროდეთ... განიცდით რაღაც ამაღლებულსა და საზეიმოს.

გერ კიდევ არ შეშრობია სისველე მთების წიაღიდან გამოღებულ ასეულ ათასობით ტონა მიწის გროვებს. გამოღებული და დამუშავებული გრუნტიხ ოდენობა 345,865 კუბ. მ. უდრის, ხოლო მართ გვირაბებზე დახარჯული ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები 81,980 კუბ. მ. აღემატება. ამრიგად, თუ ჩაწოობილი ქვის სამუშაოებს, რომელიც 5766 კუბ. მ. შეადგენს, დაუმატებთ 59,733,000 მანეთის საერთო თანხას, რაც მშენებლებმა 7 წლი-

მანძილზე ათვისებს, წარმოიდგენთ არა მარტო ამ მშენებლობის გრანდიოზულობას, არამედ გვირბან-მშენებელთა შრომითი მამაცობის ამალელებულ სურათსაც.

მეგვირბანების შრომითი საქმიანობა უმთავრესად — მშენებლობის ორ უბანზე იყო გაშლილი... მთების გულიდან განუწყვეტლივ მოისმოდა ყრუ ხმაური. გუგუნებდნენ საყვალავი მანქანები, ისმოდა სანგრები ჩაქურების რიტმული კაკული და მტვირთავი მანქანების განუწყვეტელი სრიალი...

— მიჭებო, ბატმანოვი მოდის, — გაისმოდა ხშირად, როცა გვირბანში მალა-მალაღი პირხმელი კაცი შემოვიდოდა. ბრეზენტის კურტკა-შარვალში გამოწყობილი ანდრო ისმაილის-ძე რიგით მუშას უფრო წაგავდა, ვიდრე მშენებლობის უფროსს. ამხანაგი ბრეზენტზე ყველას განსაკუთრებული გრძობით უყვარდა, კარგი ორგანიზატორული ნიჭისა და მტკიცე დაუღებარი ხასიათის გამო მუშებმა „ბატმანოვი“ შეარქვეს. არაფერ იცოდა, როდის ეძინა. დამეძინა ათჯერ მაინც შემოვივლიდა გვირბანებს, გამოცდილი მუშურის თვალთ მშენებლობას შეამოწმებდა, გაესაუბრებოდა მუშებს და გაჰქრებოდა, რათა კვლავ მოულოდნელად გამოჩენილიყო...

ასეთივე თვისებებით იყვნენ დაჯილდოებული მერვე მშენებლობის უფროსი ალექსანდრე სერგეის-ძე ზვერევი, მთავარი ინჟინრები ა. სოსელია, გ. ჯაყელი, უზნის უფროსები გ. თურმანიძე, გ. ბაღისჩუკი, კ. ჯაფარიძე, შ. სუციშვილი, — აღამაინები, რომლებიც გამოიწვერნენ მშენებლობაზე, ჩამოყალიბდნენ, როგორც საუკეთესო ხელმძღვანელი მუშაკები.

მშენებლობა იმ სარბიელს წარმოადგენდა, სადაც ფართო გაქანება ეძლეოდა საკუთარ ინიციატივას, თავდადებას, მეგობრობას — აქ არაფერ არ ნაღვდა თავის აზრებს, პირიქით, სიამოვნებით უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, შემოქმედებით და მსჯელობდნენ შრომის საუკეთესო მეთოდებზე, ებრძოდნენ ნაკლოვანებებს. ტექნიკურმა განყოფილებამ, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდა ინჟინერი ირაკლი მჭავარიანი ხელმძღვანელობდა, საათივით ააწყო მშენებლობის შრომის რაციონალური ორგანიზაცია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კომპლექსური ბრიგადების შექმნას, რომლებსაც ერთი და იმავე დროს შეეძლოთ სხვადასხვა სამუშაოს შესრულება — ეს მეთოდი მანევირების საშუალებას იძლეოდა და საგრძნობლად ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. ცვლის უფროსები დაინტერესე-

ბული იყვნენ იმით, რომ თვითიველი მუშისათვის თავის ინდივიდუალური უნარის, ჩვევებისა და ინტერესების შესაბამისად შეეჩინათ სამუშაო. „არც ერთი საათი, არც ერთი წუთი უქმად!“. ასეთი იყო მშენებლების ლოზუნგი.

იმისათვის, რომ კოლექტივის მთავარი ყურადღება მიჰყრობილი ყოფილიყო პირველ რიგში გადაუღებელი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, მშენებლობაზე ფართოდ იყო გამოყენებული საწარმოო თათბირები, სადაც სისტემატურად იხილავდნენ გეგმების შესრულების მიმდინარეობას; მშენებლობის ტექნიკური ხელმძღვანელობა დიდ მზრუნველობას იჩენდა წარმოების ნოვატორებისა და რაციონალიზატორების მიმართ. ა. ბრეგვაძის, ა. სოსელიას, გ. ჯაყელისა და სხვათა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა ნახევარი მილიონი მანეთის ეკონომია მისცა მშენებლობას. მტერი წინადადება აჩქარებდა და საგრძნობლად აადვილებდა შრომით პროცესებს, მავალითად, მთავარი გეოდეზისტის ა. ბუზის, მთავარი მექანიკოსის გ. ბარაბაძის, უზნის უფროსების სერგო ჭურაძისა, ლ. ჯეჯიას და სხვათა მონაწილეობით ავტომატიზირებულ იქნა ბეტონის გადაზიდვა ითხ მამშენებლო უბანამდე, რამაც საგრძნობლად დააჩქარა გვირბანების მშენებლობა...



იზრდებოდა შრომითი საქმიანობა... იზრდებოდნენ აღამაინები... გვირბანმშენებლები სამართლიანად ამყობდნენ თავისი მოწინავე აღამაინებით, ისეთებით, როგორც იყვნენ შედარაგობათა სამუშაოების მწარმოებელი ინჟინერი ალექსი მალარაძე, ცვლის უფროსები კიაზო საყვარელიძე, იური მაღანიანი, თ. კიკნაძე, ნ. ხოლუაშვილი, გვირბანამყვანები ლ. სარალიძე ა. ლიაშკოვი, პ. კარდაპოლოვი, ი. ჭაგუანიძე, რ. ნეზიერიძე და სხვები.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასე ფართო მასშტაბით გვირბანების მშენებლობა ჯერ საქართველოს არც ერთ კუთხეში არ წარმოებულა. ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზესტაფონ-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ხაზის მშენებლობა წარმოადგენდა იმ მკაცრ პრაქტიკულ სკოლას, სადაც არა მარტო აღიზარდნენ და დაეაყვადნენ ქართველ გვირბანმშენებელთა საუკეთესო კადრები, არამედ ღირსეულად ჩააბარეს პირველი დიდი საწარმოო გამოცდა და შრომითი საქმიანობის შესანიშნავი მიღწევებით ასახელებს ჩვენი საყვარელი სამშობლო.

მემანქანე ვახტანგ ცხადაძეს მიჰყავს მძიმე წონის მატარებელი № 8010.



მეისრე ალექსანდრე კაპანაძე ხაისრო საგუშაგოზე.



პირველი საბჭოთა ელმავლის მემანქანის კაბინაშია მისი პირველი მძღოლი ინსტრუქტორი ნიკოლოზ ტყეშელაშვილი.

პირველი ელმავალი

დილიდან საღამომდე არ წყვეტს თავის მაჯისცემას ამიერკავკასიის გზის სარკინიგზო ეკვიპმის სადგური — საშური. აქ, ისე როგორც, ჩვენი ქვეყნის სხვა მრავალ რკინიგზის სადგურიდან სხვადასხვა მიმართულებით განუწყვეტლივ მოძრაობენ სახალხო და საბარგო მატარებლები, დასრიალებენ სამანევრო ელმავლები და ორთქლმავლები. მაგრამ საშურის სალოკომოტივო დეპოს გააჩნია ერთი პატარა ელმავალი, რომლის მსგავსი არ მოიძებნება მთელს საბჭოთა ქვეყანაში.

... რკინის ხაზებით დაქსეპილი სადგურის ერთ-ერთ ლიანდაგზე მიდის ცისფერი ელმავალი. მზის სხივებზე ოქროსფრად ბრწყინავს მასზე გაკეთებული წარწერა: „ვლ 19-01“. ეს არის საბჭოთა ელმავალ-მშენებლობის პირველი, რომელიც გ. ი. ლენინის სახელს ატარებს. იგი შექმნა მოსკოვის ქარხანა „დინამომ“ კოლომენსკის მანქანათმშენებელ ქარხანასთან ერთად. ოცდახუთი წლის წინათ მან გახსნა მოძრაობა ჩვენი ქვეყნის პირველ ელექტროფიციურულ საშურის კვანძის უბანზე — სურამის უღელტეხილზე. პირველი საბჭოთა ელმავლის სიჩქარე საათში 65 კილომეტრით აღემატებოდა იტალიური და ამერიკული ელმავლების სიჩქარეს.

სურამის უღელტეხილის ელექტრულ წვევაზე გადაყვანამდის ყველა მოძრაობას ემსახურებოდა „ც“ სერიის ორთქლმავლები, ამასთანავე იყვნენ მძიმე ნაირ და ოთხნაირ წვევას. უკანასკნელ შემთხვევაში ორ ორთქლმავალს უბამდნენ მატარებლის შემადგენლობის თავში, მესამეა შუა ნაწილში, ხოლო მეოთხე მიჰყვებოდა მიწვოლად.

ორთქლმავლების ასეთი შემადგენლობის დროს ძალიან რთულდებოდა მატარებლების შედგენა, ლოკომოტივისა და სამატარებლო ბრიგადების მუშაობა. პირველმა ელმავალმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა. მან პრაქტიკულად შესცვალა 3 ორთქლმავალი და ამასთანავე გადარბენის ყველაზე ძნელ აღმართში განავითარა ერთ-ნახევარჯერ უფრო მეტი სიჩქარე.

ვლ 19-01 ლოკომოტივების შემდეგ სურამის უღელტეხილზე, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის გზის სხვა ელექტროფიციურულ მაგისტრალზეც, რომელთა სიგრძე ახლა ათასზე მეტ კილომეტრს აღემატება, გაჩნდა ახალი მარკის მძღვარი საბჭოთა ელმავლები. მათ შორის პბ — 21-01, სკუ, ვლ. 22.

პირველი სამამულო ელმავალი ვლ 19-01 მემანქანეთა კადრების მომზადების თავისებური სკოლა იყო. მისი ერთ-ერთი პირველი მძღოლი ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, გახდა მემანქანე ინსტრუქტორი. ამ ელმავალზე მუშაობდნენ, აგრეთვე, მთავრობის მაღალი დონით დაჯილდოებულნი ვლადიმერ კიკნაძე, რომელმაც საქართველოში პირველმა დაიწყო მძიმე წონის მატარებლების წაყვანა, უძველესი მემანქანე ვლადიმერ ხარატი და ბეგრის სხვა. სურამის უღელტეხილის რკინიგზის უზნის მედელმავლეთა მიერ შექმნილ გამოცდილებაზე სწავლობდნენ და იზრდებოდნენ ბერძის, ტომსკის, მურმანსკის და სხვა ქალაქების ელექტროფიციურული მაგისტრალური უბნების მუშაობა მრავალრიცხოვანი კადრები.

საბჭოთა ელმავალმშენებლობის პირველი ვლ 19-01, რომელსაც გავლილი აქვს 2,5 მილიონი კილომეტრი, კვლავ მუშაობს, ასრულებს სამანევრო სამუშაოს. მის ბრიგადას, რომელსაც მეთაურობს უფროსი მე მანქანე გიორგი მაღლაკელიძე, თავისი წვლილი შე აქვს საშურელ რკინიგზელთა წარმატებებში.

ო. აროგვიძე

სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას თბილისსა და რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებში 88 განყოფილება აქვს. მრავალრიცხოვან კლიენტურას ემსახურება ეს საზოგადოებრივი მოანგარიშე და კოლექტიური ხაზინადარი.

ჩვენი რესპუბლიკის 45 ათას საწარმოს, დაწესებულებას, სხვადასხვა ორგანიზაციას ბანკში აქვს მიმდინარე და სამეურნეო ანგარიშები. ამ ანგარიშებზე აღინუსხება ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სამეურნეო ცხოვრება. კიროვის სახელობის დაზღვევითა და ქარხანამ შეიძინა „უგლესბიტში“ ნედლეული. ფეხსაცმელების ფაბრიკამ გამსაღებელ ბაზას ჩააბარა ფეხსაცმელების მორიგი პარტია. ბაზამ თავის მხრივ თბილვაჭრობას მისცა 1000 წყვილი ფეხსაცმელი. სტალინის სახ. ა/კ მეტალურგიულმა ქარხანამ ნორმაზე მეტ ხანს შეაჩერა ვაგონები დატვირთვის დროს, ამისათვის ამიერკავკასიის რკინიგზამ იგი დააჯარიმა...

რამდენი ასეთი ოპერაცია ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში? რამდენი თანხის? ნუ ვიფიქრებთ, რომ იგი არ აღირიცხებოდეს. არც ერთი მოლაპარაკება, არც ერთი შეთანხმება, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გაცემასთან, ბანკის გარეშე არ ხდება.



ერთი ბანკი და 45000 საწარმო

პ. რაზუმოსკი

ფოტო ო.თ. თურქიასი

ორგანიზაციები და წარმოებები ურთიერთშორის ანგარიშსწორებას აწარმოებენ ბანკის მეშვეობით. სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორა ყოველდღიურად იღებს მანათსა და ვალდებებს, ჩეკებს და სხვა სახის საბუთს. „გადარიცხეთ ჩვენი ანგარიშიდან... ანგარიშზე“, „გადაუხადეთ...“, „გაეცით ფული ხელფასისათვის...“, ასეთია შინაარსი ამ საბუთებისა.

რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოედინება ეს საბუთები თბილისში კიროვის სახელობის ქუჩაზე არსებულ უზარმაზარ სახლში. აქ არის რესპუბლიკის ფინანსური გული. მრავალი ადამიანი მუშაობს ამ შენობაში იმისათვის, რომ შეუჩერებლად მოქმედებდეს ფულადი ბრუნვის არტერიული სისტემა, რომ სწორად სცემდეს ჩვენი რესპუბლიკის ძლიერი სამეურნეო ორგანიზმის პულსი.

დღეს შუადღეზე ბანკის ყველა კლიენტს შეუძლია მიიღოს თავისი ანგარიშიდან ამონაწერი, სადაც აღრიცხულია ყველა ოპერაცია, რომელიც გუშინ ჩატარდა. ბანკის სამანქანო სადგური მთელი დღეღამის განმავლობაში ამუშავებს საბუთებს.

დღეს შუადღეზე ბანკის ყველა კლიენტს შეუძლია მიიღოს თავისი ანგარიშიდან ამონაწერი, სადაც აღრიცხულია ყველა ოპერაცია, რომელიც გუშინ ჩატარდა. ბანკის სამანქანო სადგური მთელი დღეღამის განმავლობაში ამუშავებს საბუთებს.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის პერფორაციის საამქროში — სააღრიცხვო მანქანა.



რატომ არის მილიარდები?

ჩვენ გვინტერესებს, ყოველდღიური ბრუნვა რას უდრის, სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენი ფული გადაირიცხება ანგარიშიდან ანგარიშზე, რამდენი შემოდის ბანკის საღაროში, რამდენი გაიქცემა საღაროდან? ყოველდღიური ბრუნვაზე ვერაფერს მოგახსენებთ. და აი ბანკის საქართველოს კანტორის მთავარ ბუღალტერს — არადალიონ მიქელაძეს რომ ჰკითხოთ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ აურაცხელ ციფრებს იგი კარგა ხანია შეჩვეულია, ერთხელ კიდევ შეამოწმებს წლიურ ბალანსს, სწორად არის თუ არა ჩაბეჭდილი ციფრები და ციფრებს შორის სადმე ხომ შეცდომით არ არის ჩანსული წერტილი, და გეტყვათ — გასულ წელს კანტორის ბრუნვა უდრიდა ოთხას მილიარდ ოთხას ცამეტ მილიონ შვიდას ოცდაცამეტ მანეთს.

ოთხასი მილიარდი ეს მხოლოდ გონებით შეიძლება წარმოვიდგინოთ. რკინიგზის დიდი საბარგო ვაგონი რომ ავავსოთ ათმანეთიანი კუბიურებით, მასში დაეტევა 50 მილიონი მანეთი. მაშასადამე, 400 მილიარდის გადაზიდვას დასჭირდება დაახლოებით 10 ათასი ვაგონი!

ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენი ავტომანქანა დასჭირდებოდა ამ თანხას, რაოდენი მოლარე, მთვლელი, მცველი იყო საჭირო, რომ ყველა ანგარიშსწორება ნაღდი ფულით წარმოებდეს. ყველაფერი ეს საჭირო არ არის, რადგან ნაღდი ფულის წილი საერთო ბრუნვაში ძალზე მცირეა. შედარებით ცოტაა, თორემ წელიწადში იგი ათეულ მილიარდებს უდრის. 150 მთვლელი ყოველდღიურად მუშაობს ამ თანხებზე.

კანტორის მმართველის ნებართვით შევინებოთ იმ ოთახში, სადაც ითვისავენ საჯარო ქსელიდან შემოსულ თანხას. ფული აქ იმდენია, რომ თქვენ ჰქარგავთ ფულის ფასეულობის შეგრძნებას. შევჩერდეთ ერთ-ერთ მაგიდასთან. გასაოცარი სისწრაფით ტრიალებენ მთვლელის ხელში კუბიურები. ეს შავთმიანი ქალი აქ

უკვე ოც წელზე მეტია, რაც მუშაობს. იგი ყოველდღიურად გადაითვლის, დაახარისხებს და შეტყავს 15-20 ათას ფულის ფურცელს (შრომის ნაყოფიერება აქ აღირიცხება არა მანეთებით, არამედ ფურცლებით). თუ მოვიხსენებთ, შეიძლება აღირიცხოს, რამდენმა ფულმა გაიარა მის ხელში ამ წლის განმავლობაში. მაგრამ ეს კი არ არის საინტერესო, საგულისხმოა ის, რომ მარიამ კერესელიძეს ამ სისწრაფის დროს შეცდომა არ მოსდის.

მის გვერდით, მეზობელ მაგიდაზე, მუშაობენ საუკეთესო მთვლელი — ალექსანდრა ნაწარია და ბარბარე ნავთიკოვა — რომელთაც ამ საქმიანობის მრავალი წლის პრაქტიკა აქვთ.

დღევანდლამდე არ არის შექმნილი ისეთი მანქანა, რომელსაც შეეძლოს დაეთვალი, დაეხარისხებოდა და იმავე დროს გადაეწყო ხმარებაში მყოფი და გაცვეთილი ფულის კუბიურები. ასეთი არცთუ ცოტაა. ყოველ კვარტალში მოსკოვში გასანადგურებლად აგზავნიან დაძველებული და დაზიანებული კუბიურებით სავსე 820-დე ტომარას. ეს რკინიგზის მთელი ვაგონია. და რომ ამ ვაგონში შემოწმების დროს აღმოჩნდეს ერთ მანეთამდე შეცდომა, — ეს არანახულ შემთხვევად ჩაითვლება. ასეთია ანგარიშიანობის სიზუსტე.

უფრო ზუსტად აღირიცხება ლითონის ფული, რომელიც სპეციალურ ტომარებშია ჩაყრილი. 20 კაპიკანებით ავსებული ტომარა ათას მანეთს შეიცავს, იწონის 18 კილოგრამს. ათასი მანეთის სპილენძის ფული გაცილებით მეტს იწონის, ის 100 კილოგრამია.

ციფრები და ცნობრება

თითქმის ის, რაც დღეს შემოვიდა ბანკში, მეორე დღეს ისევ მაღის ბრუნვაში. ფული უნდა „მუშაობდეს“, იგი ადამიანთა შორის საქმიან დამოკიდებულებაში სანდო შუამავალი უნდა იყოს.

ბევრ რამეს მოვკითხობს სხვადა-

სხვა წყაროებიდან ბანკში შემოსულ ჯამთა შეფარდების ღრმა ანალიზი, ამავე დროს გაცემული სახსრების სტრუქტურა. მაგრამ ეს არ მოთავსდება ჩვენი რეპორტაჟის ფარგლებში. ეს განსაკუთრებული სტატიის თემაა. შევინშნავთ მხოლოდ, რომ შემოსავალი ზედმიწევნით ასახავს რესპუბლიკის საშუალო მცხოვრების ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შემაღლებლობას, გაცემა კი — მისი შემოსავლის შემადგენლობას...

ციფრების მკაცრი კოლონებისაგან გამოიყურება თვითონ ცხოვრება. მაგალითად, ფართოვდება საზღვარგარეთელ ქვეყნებთან ურთიერთობა, იზრდება სავალუტო ოპერაციების მასშტაბები. საზღვარგარეთული ოპერაციების უფროსი ინსპექტორი ბერტა ვარშავსკაია ბანკში დიდი ხანია მუშაობს. მან კარგად იცის ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენები. ბანკი არა მარტო მუშავავდა ანგარიშსწორებაში, არა მარტო წარმოებათა და ორგანიზაციების საღსრების შემნახველი და საერთო ხაზინადარია, გაჭირვების დროს ბანკი დახმარებასაც უწევს მათ, ფულს ასესხებს ხოლმე. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა პროგრამა, დაბანდა განსაზღვრული თანხა ზეგეგმის პროდუქტიაში. როგორ მოიქცეს, რით იმუშაოს, სანამ ეს პროდუქტია იქნება რელიეზობული? ბანკი იძლევა

კრედიტს. საქონელი გაეგზავნა მოხმარებელს, მაგრამ ფერ მას არ მიუღია, მაშასადამე, ფული არ გადაუხდია. ამ ხნის განმავლობაში ბანკი შევიდა წარმოებას, გაგზავნილი საქონლის საბუთების თანახმად, აძლევს სესხს. საჭირო გახდა სეზონური ნედლეულის მარაგი — ისევ ბანკის სესხეა დამყარებული იმედი.

ბანკი სიამოვნებით იძლევა სესხს ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის. 1956 წლის განმავლობაში ამ მიზნისათვის გაცემული იყო 50 მილიონი, თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე 1955 წელს.

ბანკი, ეხმარება რა წარმოებებს, ამავე დროს კონტროლს უწევს მათ. იგი კარგი მუშაობისათვის ახლისებს, ამავე დროს თავისი სახსრებით ზემოქმედებას აწარმოებს ჩამორჩენილებზე.

ფინანსური კეთილდღეობის საწყისები თვით წარმოების წიაღში მოიპოვება. ამიტომ საკრედიტო მუშაები არ კმაყოფილებიან ანგარიშებისა და ბალანსებიდან ამოკრედიტო ცნობებით, ისინი საქმის ვითარებას ეცნობიან ადგილებზე, ეხმარებიან შეინახონ რესურსების გამოვლინებაში.

ბანკის ცენტრალური ფიგურა ეკონომისტი. როცა შ. ავალიანი, ა. ეგვიაროვა,

ს. ზაგარუჩინკო, კ. დევიძე და ბანკის სხვა ძველი მუშაკები იწყებდნენ აქ მუშაობას, მთელს კანტორაში მხოლოდ რამდენიმე ქალი მუშაობდა ინსპექტორის თანამდებობაზე. ახლა კი ინსპექტორების უმრავლესობა ქალებია. ვაჭრობის დაკრედიტების განყოფილება განაგებს ელენე მთავრიშვილი, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების განყოფილება ხელმძღვანელობს თამარ გეგეჭკორი, სამანქანო-

საანგარიშო სადგურის უფროსია ევგენია დავილოვა. ქალები ხელმძღვანელობენ რაიონულ განყოფილებებსაც. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მტკიცებულებაა, რომ 40 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების არსი კი იმაშია, რომ ბანკი თუ წინათ აღოცვებდა ხალხის სისხლთა და ოფლით გადამდნარ ოქროს, ახლა იგი თავდადებით ემსახურება ხალხს.

ბანკის მთავარი საღარო. საღაროს გამგე მ. ნაზაროვი მუშაობის დროს.



ურიღონ ხალხში

3 8 3

1
მამა, შორეთის მარადი მგზავრი, დახუჭულ თვალით განაზე წუხელი... ურთხელ ყანაში გაფიცდა ხარი, უცებ შუაზე გატყდა უღელი. გადააწევი გუთნის სახელურს, კვალს თავისქნევით გაჰყვინ ხარები, მენ ისწორებდი ხალათს დახეულს და აგინებდი ბედს გამწარებით. რომ არ მოვიდა წვიმა რა ხანი, მორწყული გვალვები კი ჩაკირავენ, რომ შენ მთელი დღის გრჩება,

და ავგართმევენ ხარს ნაქირავენს. უღელიც არვის ჰქონდა ზედმეტი. უბრალო ცაცხვი გამოხათალი... რომ გითხარ, გერსად გიშოვე მეთქი, მთლად აირიე კაცი მართალი. ხარს წყველსაგით უყრიდი თივას, — გეცოდებოდა მაინც ცხოველი. მე გამყოფი მხოლოდ გულს მტკივანს, სხვა არვინ ჰყავდა ფიქრს გამყოფელი. დააბრალებდი ყველაფერს დედას და სახლში ჩხუბი იყო მთელი დღე... მაშინ ცხოვრება გავიგე მებლად და შენი დარდიც მაშინ შიიტყვე. ეს იყო ჭამი, როცა სოფელში ტყავის ტუღებით განდენენ კაცები, შეერთებაზე მიწის, ყოველის ლაპარაკობდნენ სიტყვით, ნაწირით. ეს იყო ჭამი როცა გვითვლიდნენ, ნუ ხართო მარტო ვამოკეტილნი... შენ არ გჯეროდა, თუმცა კვირტივით იმარაგებდა მზეს კოლექტივი.

2
გზას გაუღდექით ჩვენ ალიონზე, ფოთლები ენთენე ღამის სისველით და ნაბაქვეს გადასავლელზე წამოგვიწია მზე ალისფერი. მთაში პატრონთან მიგვეყვდა ხარი. — გვაჭირავდა და ვადაც გავიდა. არ იქნა, ყანა ვეღარ მოგხანით, არ გაგვიღიმა ერთი ამინდმა.

და მივეყვებოდით აღმართებს ნელა, გზა ეხვეოდა ქედებს მტვრიანი. ეს ასაგალიც ვინ დააგრძელა, ვით გლხინკაცის ბედისტრიალი? შეღამდა.

3
ასე ბნელია დარდიც, მაშის სახეზე ნაოქს ვერ წაშლი... ვით ჩვენი ეზოში უტარო წაღდი, ნახევარმთავრე ეგლო ზეცაში.

4
ამოიმართნენ ღრუბლები შემდეგ, ჩვენც მიგვაყენა ეზოს ბილიკმა. დაღლილმა სახლში ცოტაც არ შედექი, რომ ალიონზე შინ ყოფილიყავ. გვიან გაწვიმდა...

5
ჩვენ წამოვედით, გზა რომ დადებოდა, უფრო დაბნელდა და ღამე, როგორც თავშალი სველი გადახურის თავზე წაბლებმა, და სველდებოდა ხალათში მამა, რა წამოელო თუმცა სახლიდან? — ნაბადი ჰქონდა მოძველო, მაგრამ ის ფუთნახევიარ მქადში გაჰყავდა. ინანა ისიც: რას ვდარდობ იმდენს — რისი ნაბადი მინდა ესლა მე ოღონდ ამგვარად სოფელშიც წვიმდეს, გზაში ვივლიო საბო დღე-ღამე. ...დაგრეხილია გლეხის ამავეი, ვინ დათვლის ამდენ უზედურებას. ხან ეწყინება წვიმა ამგვარო, ხან გვალვად და მზეს ემდურება. ხან ცარიელი უდგას ნალია და უშუალოდ სახლში მზრუნდება; ხან არაფრისთვის აღარ ცალია და მოსატყევი ყანა უღებება. ხან თაყად იწვიის თავის ტაფაში, თუ დასჭირდება დარდის დანალვა. სტუმართან გულუხვ სუფრას

გადაშლის, ვერ გამოიცივლის წლობით ქალაქანს. ხან უტყვი არის, როგორც ქვა — ლოდი, ხან ღიმილი აქვს ვით განთიადი, მაშინ სახეზე თვით მზე ამოდის და გვერა — კაცი არის დიადი.

6
დილაზე ისევ გამოიღარა, და როცა სოფლის თავში დავეშვით, ვიღაც ხარებით — ჩანდა გზიდანა, — ძველ ნაპირს ხნავდა ჩვენი საყაფეში. მაშინ აენთო მამა უეცრად, მეგონა მებო უნდა გავარდეს — იყვირა: — ალბათ, კერა დამექცა, მიწა მქონდა და მიწა წამართვეს. მე ჭირნახული ცხოვრების გზაზე მეყოფოდაო მაინც საგზალად; და გუთნისდემდ შესძახა ასე: — მე კოლექტივმა გამომავაზნა. ვინ გართმევს მიწას, რას

7
გაიკვირე — ასეთი არის წესი ახალი, სირცხვილიაო სოფელში ვინმეს რომ ნაწვიმარზე დარჩეს სახნავი. ჰო, კოლექტივი ვარ და რა გეფიქრე. — შენზე ნაკლები მითხარ, ვინ არი, მე სხვისი ყანის ვარ მონაწილე და ჩემიც სხვისი ვარდ ზიარი. ერთად დაეთესეთ, ერთად მოვიმკით, ჩვენი იქნება ზევი მთლიანად... შენ ტოტსაც ვერ ტყბ, მაგრამ ორი კი გადაბარუნებს ხეს ძირიანად. შენ შეგვეცოდე, მიტომ მოველი: ასეა, ძმაო, წესი ახალი; სირცხვილიაო, ვინმეს სოფელში, ნაწვიმარზე რომ დარჩეს სახნავი. — თქვა და ჩაეკრა გუთანი მიწას, ხარებს დაედათ რქები სანთლებად; მამაჩემი კი ქანდაკად იქცა, გამობოდი — ნეტავ რა ემართება?

8
წყენოდა მამას, თუ უხაროდა? — არ დაცდენია რამე ჩივილი; მერე კი, როგორც კოკა წყაროთი, უცებ აივსო იგი დიმილით. იგრძნო, რომ საქმეს ასე შებზუნონ, სხვები იღვივან, უკეთესობენ; და იგი სახეგანაობული გამოიდევნა კვალში მეზობელს, უთხრა: — მომიქვი, ძმაო, გუთანი, აღარ მაფიქრებს ახლა მე შიში; წადი და იმ თქვენს გამგეს უთხარი მეც ჩემი ყანით ვარ კოლექტივიში. მიწას ღონიერად რომ შეუტია, თვალბში ყველა დარდი დაიწვა;

9
ასე მეგონა, ამ კვალს ბელტიანს შემოავლებდა მთელ დედამიწას.

10
ასე ყოფილა, — ბედის ვარსკვლავი კაცს რომ ხანდახან გაგაგულისხმებს, და წავა გუთნის კვალი გზასაგით გაზაფხულიდან გაზაფხულისკენ. გზა უფრო დიდი წინ გელოდება, უფრო ფართო და უფრო მთლიანი, დაუღვევლი, როგორც ოცნება, დაღმართიანი, აღმართიანი. შენ, მამაჩემო, ასე იტყვი: — (მოვიგონებ და ახლაც მარგია) თავის სიმწარით, თავის სიტკბოთი, თუ იგრძნო ყოფას — მაშინ კარგია. შეუჩერებლად კაცმა იარა და ახალ დროთა სიტკბო იხილა, ქვეყნის ავაკრგი გაიზარა, გათბა, განათდა და გაიღიმა. დათოცა ხალხის მამა — პარტია, მითხრა — გქონია, შეილო ბედლი... ჩემთვის ცხოვრების გზა აღმართია, თორემ თავიდან ვიცხოვრებდი... წყუროდ მამას, წყუროდ ბევრი ამ უნაპირო გზით სარაული, ეს იყო მისი კალი და კვერი, აზრი, სიმღერა და ჭიანური. მაგრამ თავებდა შენი ჟამთასულა რაც უნდა ყამირ ბელტებს ღუნავდე... წავიდა მამა, ასს რომ გადაწვდა, მე დამიტოვა ქვეყნის შუადღე. მითხრა: ამ დილას მიეცი ხელი, დღეები ზრუნვას შენგან ელიან... მშობელი იყო არაა ძნელი, გამზრდელად ყოფნა უფრო ძნელია.

11
შრომის გზა იყო მისი სტიქია და ცხოვრებაში თავგამეტება. ბევრი რამ მისი იგი გამიგია, რაც გამიგია, სად დამეტება! მე დავმეგობრე გაფრინდლ არწივს, უსახლფირობა მიყვარს ფარული, აქ ოქრომბორი ხეებზე აწვიმს და მიმიძღვება ფოთლის წყაროებით. ხელით გეხები ვარდისფერ ჯისკარს და ნარინჯების მუქში გზანაობ... აქ ყველა ტოტი იზრდება, ისხამს, მადლობა ხალხის დიღო ყანაო!

ანზორ გვარამია

ადამიანი თავის ცხოვრების ამ ქვეყნის სივრცე
გზაზე ისეთ რამეს მოიგონებს ხოლმე, რომლის
გახსენებაც აღარც კი სურს, მაგრამ რაღას გააწყ-
სობს — უნებურად ამოტივტივდება ფიქრებში და
ზურგს აუწყავს. უნდა რომ ამ დღიდან ხნის წინათ
მომხდარი ამბავის სახსენებელიც დაიკარგოს, მაგ-
რამ გაივლის დრო და ეს მოსაზრებები ამბავი
მატარებელით ჩამოვდება ფიქრებში. რაღა თქმა უნ-
და, ეს ყველაფერი განუცდია, ალბათ, ყოველ ახალ-
გაზრდასაც, ვინც ოდნავ მაინც სირცხვილნაჭამია.

მაშინ პირველად ვაბარებდი გამოცდებს უნივერ-
სიტეტში. ამას იმატომ ვამბობ, რომ პირველ წელს
მიღებულთა სიაში არ მოვხვდი. თუ რატომ — ეს,
რა თქმა უნდა, აღარაა საინტერესო. ერთობ გულ-
ჩათხრობილი ვაგხვდი. მახსოვს, როგორ დამტრია-
ლენდა თავს ბებიარქიმო, „მანდ ზაგუმმა ცუდი რამ
არ იღონოს, ურავ არ შეუჯდეს გულში“, და რას
არ მქუბებოდა. რითი არ მანუკემუდა. ერთხელ
მიხსრა: ერთი წელი რა ბედნაა, ეგ დასასვენებ-
ლად მაინც დაეკიდებო. სხვათა შორის, ისიც
თქვა, ხუთი რატიდან არც ერთი აღარ მომწონს,
ყველასთან უმძარხვად ვარ და მხოლოდ შენი ბედით
ვაჯივარებო. ოღონდ ის იყო, — ამიტყვა მოხუცი, —
საცოლე მე უნდა მომაძებნებო. აქი ჩემმა შეიღებ-
მა აღარც კი მკითხეს და არც ერთი აღარ მომწონს.

იგი სულ თავზე მადგა — ჩამჩინებდა, ცუდი რამ
არ ვანიზრახო. ამ გაუთავებელი საუბრით თავმო-
ხეზრებული კითხვას მოვიპოვებდი, ვივს ხელში
აგიღებდი და სხვა ოთახში შევრგავდი თავს. ვაცი-
ლოდა ორიოდე წუთი და შებოა ჭრიჭინ-ჭრიჭინით
აღება კარებს, ჯერ ცხვირს შემოყოფდა, მერე
ფანი-ფუნით შემოდიოდა ხოლმე შიგ. თოფის წამალი-
ვით წამოვებოდა, ვეუბნებოდა, რამ შემომჩინდი-
მეთქი და, როცა ოდნავ მაინც დაეწყვიდებოდი,
სვენებ-სვენებით ვამბობდი: ბებიარქიმო რომ არ იყოს
ვაწყენებო, მაგრამ მოხუცია და ამიტომ თავს
ვიკავებ-მეთქი.

ვინ არის გამგონე! შებოა აღარ თმობს — ზამშვი-
დებს და მამშვიდებს. მე კი ისევ თავაღლუნული დაფ-
დივარ, თითქოს ვინმე შემომიწყრა ოჯახში.
მართალი ვიხსობო, შთაღდა ის როდი მალონებ-
და, რაც შებიას ეგონა. ამ მიზეზს სხვაჯერ თოდა
თან და სწორედ ამიტომ მოვირგე კალამი ამ ჯერად.
გუშინდელივით მახსოვს, თუ რანაირი ყმაწვილი
გოყავი მაშინ. დაჰმუჭვნილი, ალაგ-ალაგ დამტყერი-
ანებულ მუხლისთავებთან ერთთავად ამობერილ
შარვალში უსწორმასწოროდ ჩაჩრილი ხალათი;
ცოტათი არღვეულ-ღარღვეული ფეხსაცმელი, რა-
მერუმეთი გამოტანილი ჩემოდანი ხელში; აჩერი-
ლი ქოჩორი, — აი რანაირმა დაეადგი ფეხი პირვე-
ლად თბილისის მიწას.

მაშინვე ჩემი ნათესავი მოცემენი და იქ მოვეწყე...
ჩემს ნათესავს ბინა მეორე სართულზე ჰქონდა. ქვე-
და ოთახები ვიღაც ორ მოხუც ქალს ეკავა, მათ მე-
ზობლად კი ფაშფაშა, მუდამ მხიარული, ტუჩებზე
ბოშადაწამული, ჩასუტებული, ორმოც-ორმოცდახუთს
მიტანებული ქალი ცხოვრობდა, რომელიც ყოველ-
დღე ერთი და იმავე სამუშაოთი იყო გართული: ორ
ხეს შორის თოვს გაჭიმავდა, ვაი-ვაგლახით აფენდა
თეთრეულს, საბანს. დილა-სალამოს გატანა-შემო-
ტანის ცერემონიალი მართლაც სასაცილო რამ იყო.
„საოცნებოს“ ღლინით გამოიტანდა ღლით, გა-
ფრთხ-გაბერტყავდა, მაგრამ როცა შემოტანაზე მიდ-
გებოდა საქმე, იგი ტუჩებს ბუსხავდა, ლოყებს გა-
ბერავდა და ხეწებით სუნთქავდა, თითქოს ამით
ამტყიცებდა, რომ მის ფაშფაშა სხეულს უკვე დაღ-
ლა ეგრძნო და აღარ შეეძლო არათუ თეთრეულის,
არამედ საკუთარი სხეულის ტარებაც.

მე წიგნებს ამოვიკრიბი ილიაში, ეზოში ორ
ხეს შორის ჩადგმულ საკმეზე ჩამოვჯდებოდი და
ვექცადინებოდი. სადღაც როილის უკრავდნენ. მე-
სიკის ხმა ამ პატარა ეზოში ხარბად იღვრებოდა.
ჩამოვჯდებოდი, გადავმლიდი წიგნს და მე-
ზობლის პატარა გივიც შეახლოვდა. მე ისევ
ვექცავდი წიგნს და მზად ვიყავ გივისთვის მომე-
ხინა. ის ხომ არ მასვენებდა, ეს მომიყვებოდა, ის მო-
მიყვებოდა. გივი ისე შემომეჩვიდა, რომ თვითონაც მე-
საუბრებოდა რაღაც-რაღაცებს. მომიყვებოდა, თუ რო-
გორ ურევდა წამდაუწყებელი მასწავლებელი საუ-
ბარში „დას“ ნაცვლად „ნდას“. იცინოდა, მხიარუ-
ლობდა და მეც მაცინებდა. მერე, სალაპარაკო რომ
შემოელოდა, ჩამიკრიტებდა, სულ მეტიტინებოდა,
ამ სივანე ქამარი სად იშოვებოდა, ხალათი რად არ
აგვიკაშივებიაო. ხან იმაზე მესაუბრებოდა, თუ როდის
იყო მოღამი ჩემი ფეხსაცმელი.

გამოცდებიდან რომ ვბრუნდებოდი, გივი იქვე შე-
მომიკრებოდა. ამბავს გამომიკითხავდა და მოთამა-
შე ბავშვებში გატრობდა.

ახლა მოხუცების ძალღები შემომეგებებოდნენ,
დამირინდნენ, მაგრამ უცხად შევქაზებდი — „შარ-
რიკი“ და მომიკვლდებოდა. მერე ჩამოვდებოდა:
„ჩაბარე? რა მიიღე? ვინ გამოგკადა?...“

მოხუცები მუდამ დერეფანში ისხდნენ. იქვე ახლოს
ვიღაც ქალიშვილი იჯდა. იგი ხან კითხულობდა რა-
ღაცს, ხან მოხუცებს ესაუბრებოდა, ხან როილის
მიუჯდებოდა.

ერთ დღეს უნივერსიტეტიდან ვბრუნდებოდი. ჯერ
გივის ჩაგაბარე ანგარიში. სულ ცოტათი ვაგაბარე
ბიჭუნა. მერე მოხუცებმა გამომიკითხეს ყველაფერი.
არ ვიცი, ჩემი ამბავი აინტერესებდათ მათ თუ, სა-
ერთოდ, ასე ცნობისმოყვარები იყვნენ. მერე იმ ქალი-
შვილისკენ ვაშტეცა თვალები, იგი კი ისე მიცქერ-
და, თითქოს სოფლიდან ჩამოტანილი რაიმე ვასაყი-
დი საქონელი ვყოფილიყავო. ერთი კიდევ დამირი-
ნეს ძალღებმა, რომლებიც, როგორც გივიმ მითხრა,
მოხუცების განუშორებელი ყოფილან, ზინაც იქვე
დერეფანში ჰქონიათ, და კიბეს აყვეცი.

ამ დღის შემდეგ, როცა ჩვეულებრივსამებრ მე-
ცადინებოდა შევუდებოდი, იგი აიგანზე ვადმოღვე-
ბოდა და მიმზრდა და მიმზრდა. ბიჭი ხარ და ახ-
ლა ამოხსენი ნიუტონის ბინომი, დაამტყიცე ბუზუს
და ბითავორეს სართულ-სართულიანი თეორემები; ან
დაიმხსოვრე, თუ როდის გარდაიცვალა სუვოროვი,
სად დგას შეთანიის ეკლესია და სხვა მრავა-
ლი.

მოდი და იღონე ახლა რამე. არ ჯობია, ვაციარო
იქით, ვუთხრა რამე, დავემეგობრო, ენა მაცხს, მუ-
ჯი კი არა ვარ. არადა ამას მაინც ვეტყვი: „გე-
თაყვა, თუ ღმერთი გწამს, მომავორე მაგ
თვალები, ეე, ვერ გავუძულ მზერას“. ვეტი-
ყვი, აბა ერთივე ვნახოთ, რაღას იტყვის! მაგ-
რამ, თქმა რა არი, უადგილო გამოვავ. დავს ვი-
დაც კოპწია, ქალაქელი გოგონა და შენ მიდი ახლა,
ვიღაც სოფელში ახმახი და დაუწყე. რაღა თქმა
უნდა, აღარაა საჭირო. ე მაგ გოგო იქნებ დიდი
ცნობისმოყვარე იყოს და შენთვის. ჩამოვიდა ვიღაც სოფ-
ლელი ბიჭუნა და აკვირდება ისე, თვალები საბა-
ლახით გაუშვია, მერე რა? „სხვანაირი რამე არ
ჩაიდი გულში“. — ვაგიფრთხილეთ თავი...

ავისიტოს უკანასკნელი დღე იყო. საბუთების გა-
სატანად მივედი უნივერსიტეტში. გულდათუთქული
შეცქეროდი ყველას. ისეთმა განცდამ შემოაყრო,
რომლის ენით გამოთქმა მოუხერხებელია. მისი წარ-
მოდგენა მხოლოდ ჩემსავით გარეთ დარჩენილებს
თუ შეუძლიათ.

მიღვან ქალთან მივედი და მოვიტხოვე, რაც მინ-
დოდა.

— არ შეიძლება, — მომიგო მან.
— აბა, სწორედ ესღა მაყვდა, — მოვრთე ბუზ-
ლუნი.

— არ შეიძლება, გეუბნები. რა გეჩქარება, ხვალ-
ზეც აიღე. არ ხედავ, ჭირიმე, რამდენი ხალხი
მყავს. აი ამათ, ვისაც ვიღაც, სტუდენტები უნდა
მივცე. მათ ეჩქარებათ, შენ კი მერეც მოასწრებ.

— არავითარი... ვიჩივლებ ახალგაზრდა...
მაშინ იმ დროისგანვე ფეხები ისე დაბაკუნა, ხე-
ლები იმგვარად დაარტყა, რომ სიმწრის ოფლი გა-
დამასხა. სრულიად ავირ-დავირიე. წადი, სადაც
გინდა, იქ იჩივლო.

მეტი რა გზა იყო, განვშორდი, მაგრამ დათბობს
ჯერ კიდევ არ ვაპირებ. ვიცი, თუ ხვალ აქ დავრჩი,
თუ ამ სტუდენტების მხიარულობას, სალაპარაკო-
ვას დავესწარი, უთუოდ ბოლომად დამახრჩობს. ცხელი-
ლობა, რამე მოვიგონო, ვიცრო. თავი მოვიკატუნე
და ისევ რიგში დავდექი.

— გეხვეწები, დღეს უნდა ვაგემზავრო, მიღებე-
შეს, დედაშენს ცოცხალს ჩამოუსწარიო, მომეციოთ რა!

— მერე ავრე გეთქვა, შე კაცო რაღას ვვიროლი!
უკაცრავად, ბოდიში-მეთქი, და გამოვართვი. გა-
მოვართვი და კიბეზე რომ დავეშვი, ვიღაცის არც
ისე ნაცნობმა თვალბმა შემაჩერეს.

— რა, გაიტანეთ? — მკითხა ვიღაცამ. მოგბრუნ-
დი და მის თვალებს შევეფეთე. ის იყო, ვინც მუ-
დამ როიალთან იჯდა...

ჰო, ვაციტანე-მეთქი, მივუგე. მერე შევეკითხე:
— თქვენ სად მსვალობთ?

— მე აქ მოვხვდი.

ღიანას მიგმეტყობოდი ამ გოგონას და რომ
განვშორდი, მხოლოდ მაშინ მომიწყურდა რაღაც, პი-
რი გამოშრა, სისხლი ათუხვარებდა და ვიგრძენი ის,
რაც თურმე მანამდე არ მიგრძენია.

იმ დღეს ვვიან დავბრუნდი ბინაში, მატარებლის
ბილეთიც ავიღე. გივიმ ნაღვლიანად შემომხედა, მა-
ნუჯემა იმით, ამით... მერე მოხუცები დაფაცურდნენ.
ჯერ ჯიბეები დაიჭებინა, ძლივს ამოაცოცხეს სათ-
ვალეები, ცხვირზე წამოისკუპეს და გამოკითხვას
შეუდგნენ. ახლა პერიოდიან არსებაც დაფაცურდა.
როილის კლავიშებზე დახვავებული და ამვე დროს
მიყრილ-მოყრილი რაღაც ქალღღები მიტეპ-მოტეპა,
სკამებს მზახუნ-მზახუნით აუყენა, მერე აქეთ-იქით
მიაგდ-მოაგდო და მოხუცების ზურგსუკან დადგა.
დიდრონი, ზღვისფერი თვალები შემომხანათა და
ისეთი სახით მიმზრდა, თითქოს ჩემად მეუბნებო-
და: „არაფერია, ვისადა მოეწყობა“.

გამოვეშვილომე ყველას, ღიანს ამბით ვაგშორდი
მოხუცებს, ავიღე ჩემი ცარიელი ჩემოდანი და
ტრამვას განერბაზე შევიჩირდი. ტრამვაი ღრჭილ-
ჯახუნით ჩამოვდგა. მე ავედი და ბილეთს რომ ვართ-
მევედი კონდუქტორს, ვიღაცმა მომხანებინა უკან:
„ჩემიც აიღე, მეც იქით მოვდივარ“. ვაგწითლი,
ყურებმა წიფილი მორთეს... სადგურთან ისიც ჩა-
წოვიდა. ვაგშრი, ვაგშეში, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

მხოლოდ ესღა მოვახსენებ;
— თქვენ მოხვდით?

— კი...

სისხლი ამოღულდა, მოდი, რამეს კიდევ ვეტყვი-
მეთქი. გულში რაღაც შეშებარა და მღრღინის და
მღრღინის. როგორ მინდა მასთან ყოფნა, როგორ
მომინდა მასთან საუბარი. როდის-როდის ენა მო-
ვაბრუნე და უმნიშვნელო რამეებზე ვესაუბრე.


მატარებლის გასვლას ხუთი წუთი აკლდა. გამო-
ვეშვილომე და წარმატებები ვუსაზრვეთ ერთმანეთს.

— არ დავიფიწყით ერთმანეთი...
და მატარებელმა მომტაცა თბილის-ქალაქს.

აი გულში ჩავუბნებულ სათქმელს სად მოვხსენი
ოფი, აი სად ვოქვი და სად უნდა მეთქვა.

იმ გოგონას თვალბმა საშინოთხი თვის მოუსვენ-
რობა შემმატა. ამ მოთხრობის დაწერა განვიზრახე,
დაწერე კიდევაც და ბარე ოცჯილოგრამიანი ტვირ-
თი ჩამოვიშორე.

ვინ იცის, იგი რა იქნა, ამჟამად სად არის იქ-
ნებ ვიღაცას ეუბნება: „არ დავიფიწყით ერთმანე-
თი“. რა მისი ბრალია: მე გულში რომ ვიხვლირე,
აბა ის როგორ გაიგებდა?





რე ფილმი „სიყვარულის სახმისი“ იყო, მარია კოსტას რე-
უსირობით. აქაც მასში ვიღებდი მონაწილეობას.

ასე მილიონა ჩემი ცხოვრება უხალისოდ და ერთფეროვ-
ნად. მაგრამ დადგა 1946 წლის უკანასკნელი დღეც. საახალ-
წლო ღამეს ერთ ოჯახში გავიციანი „ჩემი ზღაპრული პრინ-
ცი“ — ახალგაზრდა ექიმი მილოკო სკოფიკი. ჩვენ უცბე გავიმ-
კვალეთ ერთმანეთისადმი სიყვარულით და გადავწყვიტეთ სა-
მუდამოდ დაგვეკავშირებინა ჩვენი ცხოვრება. 1947 წელს
უკვე ოფიციალურად დავინიშნე მილოკოზე. ამავე წელს ჩემი
დაც დანიშნა, ისიც ექიმზე. სახლში დიდად გაიხარეს, მაგრამ
ყველაზე ბედნიერად მაინც დედაჩემი გრძნობდა თავს — ოჯა-
ხში უკვე ორი ექიმი იყო!

სწორედ იმ წელს პირველად მივიღე მონაწილეობა სილა-
მასის კონკურსში, რომელიც რომის ულამაზესი ქალის სახე-
ლის მოსაპოვებლად იყო გამართული. ეს აზრი თურმე მილოკოს
მეგობარს, შურნალისტ ჯორჯიო სალვინის დაებადა და გავ-
ვიმუდავნა მხოლოდ მაშინ, როცა უკვე რომის ერთ-ერთ სა-
ცეკვაო დარბაზში მიგვიყვანა, სადაც კონკურსი იყო გამარ-
თული. მე არც კი ვიყავი გონს მოსული, რომ უკვე დარბაზის
ამაღლებულ ადგილას აღმოვჩნდი სხვა მონაწილეთა შორის.
ვილაქამ ხელი მკრა და მეც წავედი წინ. არ ვიცოდი, რა ხდე-
ბოდა ჩემს გარშემო, მესმოდა მხოლოდ შეძახილები, ტანის-
ცემა. როგორც მითხრეს, ოჯაცია თურმე ათი წუთი გრძელდებო-
და. თუორიმ მეორე ადგილი მომანიჭა.

სწორედ ამ დროს რეჟისორმა მარია კოსტამ შემომთავაზა
პატარა როლი თავის ერთ-ერთ ფილმში. მე მთელი სულით
და გულით ვთამაშობდი და ისე შევედი როლში, რომ ჩემს
პარტნიორს არნოლდო ტიერის მთელი ძალით გავარტყე ხელი
სახეში. არნოლდოს მგონი დღემდე არ უშაბტიებია ჩემთვის ეს
შემთხვევა.

და აი ასრულდა ჩემი ოცნებაც. შემომთავაზეს მთავარი
როლი კინოსურათში „ჯამბაზები“. ამას მოჰყვა „საგანგაო ზა-
რები“, რომელშიც ისევ მთავარ როლს ვასრულებდი. ერთი
წლის განმავლობაში ექვს ფილმში მივიღე მონაწილეობა.
მათ შორის იყო „ალინა“, „მოთხრობა ხუთ ქალაქზე“ და
სხვები.

ამ პერიოდში ამერიკაც დაინტერესდა ჩემით. მომდი-
ოდა წერილები სხვადასხვა კინოსტუდიებიდან. ერთხელ ფირ-
ფიტის გაგზავნაც კი მოხვეს ინგლისური ჩანაწერით ჩემი
ხმის გასასინჯად, მე შევასრულე მათი თხოვნა და რამდენი-
მე ხნის შემდეგ მივიღე ლაიონური პასუხი: „ჩვენ
მოვისმინეთ თქვენი ფირფიტა, თქვენ სასეზოლ სასია-
მოვნო ხმა გაქვთ“. მალე მივიღე პირველი ოფიცია-
ლური მიწვევა ამერიკაში. ცნობილი კინომრწველი ჰუ-
გი მისოვდა მონაწილეობა მიმელო მის ფილმებში. მე ძალიან
მაფიქრებდა ჰოლოვუდში გამგზავრება. მართალია, გამოჩენილი კი-
ნომრწველი მიწვევდა, მაგრამ მას ჩემი მხოლოდ რამდენიმე ფოტო-
სურათი ჰქონდა ნახაზი. ისიც, ალბათ, შემთხვევით თუ ჩაუვარდა ხელში.
როცა მე ამის შესახებ ტელეფონით შევეკითხე, ნერვიულმა ხმამ ასეთი
პასუხი გამცა:

— რა საჭიროა ფილმების ნახვა? უწინ რა იყო, მე არ მაინტერესებს.
მსახიობის ცხოვრება ჩემთან იწყება იმ დღიდან, როცა ის ჩემს კინოსტუ-
დიაში დაიწყებს მუშაობას. ნახვამდის!

ამერიკაში ჩასვლისას ჰუგმა გამაცნო ხელშეკრულების პირობები და
მთხოვა სასტუმროდან არსად არ გავსულიყავი, რადგან ეს თურმე ჩაშ-
ლიდა სარეკლამო კამპანია. ასე გაგრძელდა მთელი ნახევარი წლის გან-
მავლობაში, სანამ არ მივხვდი, რომ ჰუგმა უსინდისოდ გამათამაშა. სას-
წარფოდ მოვემზადე იტალიაში დასაბრუნებლად. საბასუხოლ ჰუგმა მზა
ხელშეკრულება გამომიგზავნა. პირობები არ იყო ცუდი. მაღალია ღირსი!
რომის აეროდრომზე მილოკო და ფოტორეპორტიორების მთელი არმია
დამხვდა. სახლში მე და მილოკომ კიდევ ერთხელ გადავხედეთ ხელშეკრუ-
ლებას. გამოდიოდა, რომ ამ კონტრაქტის მიხედვით მე მთლიანად ჰუგის
ნება-სურვილზე და მის კაპრიზებზე უნდა ვყოფილიყავი დამოკიდებული.
ხელშეკრულებაში სხვა წვრილმანის გარდა, ჩემი მოსალოდნელი ავად-
მყოფობაც იყო გათვალისწინებული, მიწისძვრა და თქვენ წარმოადგინეთ
რეკლამაციაც კი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელია მომხ-
დარიყო.

ჩემი სიჩუმით შეფოფოებულმა ჰუგმა დევეშების კორიანტელი დააყე-
ნა და ტელეფონითაც სწორად რეკავდა. მთხოვდა, ხელი მომეწერა ხელ-
შეკრულებაზე, მაპირდებოდა, რომ გაიღებდა დიდ თანხას ჩემი რეკლამი-
სათვის, რომ მე შექნებოდა გადაამწყვეტე ხმა რეკლამის შერჩევისას და
სხვა. როდესაც მე ვუპასუხე, რომ ხელშეკრულებაში ყველაფერია გათ-
ვალისწინებული ამის გარდა, მან უცბე დაკიდა ურთიმილი და ამით დამ-
თავრდა ჰუგთან ურთიერთობა.

1951 წელს ბედმა გამიღიმა — უერარ ფილიპთან ერთად ვითამაშე
„ფანფან ტულპანში“. ეს იყო ჩემი პირველი დიდი წარმატება კინო მოდ-
ეაწილობაში. ყველა მილოცავდა გამარჯვებას და მეც ვგრძნობდი, რომ
ადელინას როლი თითქოს ჩემთვის იყო დაწერილი.

ჯერ კიდევ არ იყო მიჩუმებული „ფანფანზე“ აღტაცებული გაჰო-
ხილები, როცა რენე კლირმა მიმიწვია ფილმში „ლამის ღამაშენებში“.
ამის შემდეგ ვითამაშე კინოსურათში „ქველი დრონი“, სადაც ჩემი პარტ-
ნიორი ცნობილი ვიტორიო დე სეკა იყო.

მე მუცხა გულთთლი და ერთგული მეგობარი. ეს ჩემი მეუღლეა. როცა
მე გადადებებზე ვარ, მილოკო მუდამ ჩემს ახლოს არის რომელიმე ფარ-
დის უკან დამალული. საღამოს სახლში ჩვენ ვსაუბრობთ დღის განმავ-
ლობაში ჩატარებულ გადადებებზე, ვარჩევთ კადრებს. მილოკოს კარგად
ეხმის კინო. ერთხელ ჩვენ ერთადაც კი ვითამაშეთ ფილმში „ლალიტი“,
სადაც მილოკო ჩემი შეყვარებულის როლს ასრულებდა. უნდა გამოვიტყუ-
დეთ, რომ ასე თავისუფლად და ბუნებრივად მე არც ერთი როლი არ
შემისრულებია.

ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის კინომაყურებლის აზრია. მე დაახ-
ლოებით ვიცი ეს აზრი და მაღლობელი ვარ ჩემი მაყურებლისა. ვცდილობ
ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ იმედები არ გავუტყუო კინომოყ-
ვარულებს და მათი მოწონება ყოველთვის დავიმსახურო.

დაწერილია გერმანული კინოტურნალისათვის „ფილმშიგელი“
გერმანულიდან თარგმნა ლ. სარდაქიმე

ჯინა ლოლობრიჯიდა მოგვითხრობ:

კინოში ჩემი მოღვაწეობის დასაწყისი მეტად არასასიამოვნო იყო.
ერთხელ, როცა ჩემს მეგობართან ერთად რომის ქუჩაზე მივაბიჯებ-
დი, საშუალო ხნის ელვანტური კაცი წამოგვეწია და ქულის მოხდით
ზრდილობიანად მომმართა:

— მაპატიეთ, ათიათასჯერ მაპატიეთ, რომ ვიბედავთ... მე კინორეჟი-
სორი ვარ, ახალგაზრდა სტატისტებს ვეძებ ჩემი ფილმისათვის. გასამრ-
ჯელო ორი ათასი ლირა იქნება ყოველდღიურად.

მართალი გითხრათ, მე ამ დროს სრულტენით არ ვფიქრობდი გრეტა
გარბოს ან ანა მანიანის კარიერაზე. ჩემი ოცნება საოპერო სცენა იყო.
მეჯვრეთად ვსწავლობდი სიმღერას, მაგრამ სისტემატურად ვერ ვმეცადი-
ნებოდი, რადგან მშობლების მატერიალური შესაძლებლობა ვერ უწყვე-
ბოდა სწავლის ქირის გადახდას.

— თანახმა ვარ, — ვუპასუხე მე მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ — სად
და როდის უნდა მოვიდეთ?

რეჟისორმა ერთ-ერთი კინოსტუდიის მისამართი მომცა.

მეორე დღეს, ზუსტად დილის 8 საათზე, მე უკვე ადგილზე ვიყავი.
ჩემი ნაცნობი რეჟისორი არსად ჩანდა, მას აქ არავინ იცნობდა და არც
მის მიერ მოცემულ მისამართს აქცევდა ვინმე ყურადღებას. როგორც
იქნა, ერთ ოთახში შემავაზენეს, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა კაცი
იჯდა.

— სტატისტი? — ჩაიბუღუნა ერთ-ერთმა მათგანმა და უქმყოფი-
ლოდ ამხედ-დამხედა.

— დიას, სტატისტი, მე მოწვეული ვარ...

— აბა, აბა მეგრს ნუ ლაპარაკობთ! — შემომბღვირა მან. შემდეგ
ადგა, ჩამათვლიერა თავიდან ფეხებამდე, გარს შემომიარა კიდევ, აჩიჩა
მხრები და... გამოიღო გარეთ გასასვლელი კარები.

— მოხვალ მაშინ, როცა ათ კილოგრამს მაინც მოიმატებ წონაში.

მაინცდამაინც გულთან არ მიმიტანია, რომ იმ კინოსტუდიელ ახალ-
გაზრდას არ მოვეწონე.

ერთი თვის შემდეგ მე მაინც შევქედი სტატისტის ადგილის შოვნა.
ფილმს, რომელშიც პირველად მივიღე მონაწილეობა, ეწოდებოდა „შავი
არწივი“, რეჟისორი იყო რიკარდო ფრედა.

მე კინოს თითქმის არც კი ვიცნობდი, რადგან ჩემი მშობლები მხო-
ლოდ საბავშვო ფილმებზე მიშვებდნენ მაშინაც კი, როცა უკვე თექვს-
მეტი წლისა ვიყავი.

სულ სხვა იყო თეატრი. იგი ყოველთვის მიზიდავდა და სცენაც უცხო
არ იყო ჩემთვის, რადგან ჯერ კიდევ შვიდი წლისამ გავიციანი იგი.

მე უმთავრესად მამაკაცის კომიკურ როლებს ვასრულებდი. მაყურებ-
ლები აღტაცებაში მოდიოდნენ, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ დაბა-
დებული ვარ მსახიობად.

1948 წელს გამოჩნდა ჩემი პირველი ხელისმთხოვნელი. იგი ვაჟარი იყო.
შინაურები უარზე იყვნენ, რადგან დედაჩემს სიძედ მხოლოდ ექიმი
უნდოდა. „ექიმი ყოველთვის საჭიროა ოჯახში, ვაჟარი კი შეიძლება
გაკოტრდეს“, — ამბობდა ხოლმე იგი.

მამა ჩვენს ქალაქამდეც მოადწია და გვაიძულა მთებისთვის შეგვეფა-
რებინა თავი. ვიმალეობოდი შვიდი თვე, როცა უკან დავბრუნდით, სახ-
ლში ცარიელი კედლები დაგვხვდა.

1945 წელს საცხოვრებლად რომში გადავედი. იმ პერიოდში ძალიან
გაპირვებულად ვცხოვრობდით, ერთ პატარა ოთახში ექვსი სული ვიყავით
შეზინული. პირობები ცოტათი გავეუმჯობესედა მას შემდეგ, რაც ჩემმა
დებმა კინოში დაიწყეს მუშაობა ბილეთების გამსინჯვებლად. ჩემი მეო-

ჯინა ლოლობრიჯიდა



ბარძიმაშვილი ბიბული

სიჩუმე ამ დარბაზებში მოჩვენებითი იყო. აქ სჩქეფდა ცხოვრება, შექმნილი დიდ ხელოვანთა მიერ, მეტყველებდა სამყარო ნიჭისა, თავდადებისა და პატიოსნების. კედლებზე ეკიდა სურათები, დიდოსტატთა მიერ შესრულებული ფრესკები და ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატები. ისინი თითქოს არაღ ავლებდნენ დრო-ჟამის მსახვრალ ხელს და საუკუნეთა სრბოლა მათთვის დიდ პირობითობას წარმოადგენდა. არა მარტო თვალი სწვდებოდა ამ დიდებულ სანახაობას, ყურიც ისმენდა სრულყოფილ მანგებს, რომლებსაც სიმებისით გამოსცემდნენ ქართული ორნამენტების ფანტასტური ხაზები.

...მუზეუმის მნახველებს ყოველთვის თავაზიანად ხვდებოდა მთლად გაჭალარაკებული მოხუცი და მიუძღვებოდა მათ დარბაზებისაკენ. ბევრი იცნობდა ხელოვნების სიძველეთა მესაიდუმლეს ბარძიმაშვილს, რომელიც განუყოფელი ნაწილი იყო ამ გარემოს. გაბზარული ხმით უხსნიდა ბარძიმაშვილი მოუთმენელ ახალგაზრდებს ხელოვნების საიდუმლოს, თვალწინ უშლიდა ფერებისა და ხაზების მდიდარ პარტიტურას. კარგი სანახავე იყო იგი ამ დროს. თეთრ წარბებ ქვეშ იწებებოდა მისი ღრმა თაფლისფერი თვალები, სანთელივით ჩამოთლილი თითები სერავდნენ შავს ისეთი დახვეწილი მოძრაობით, როგორც მხოლოდ ღირფორებს სჩვევია, მოკრძო სწორი ცხვირის ნესტოები ოდნავ ფართოვდებოდნენ და გაფითრებული ტუჩები ეძებდნენ უზუსტეს სიტყვებს.

თვითეულ სურათში, ფრესკაში თუ ორნამენტში ფეოქავდა მისი მოსიყვარული გული, ისინი იყვნენ მისი მშობლებიც და შვილებიც, ხოლო ყველაფერი ერთად წარმოადგენდა იმ დიდ განუყოფელ და მარადიულ სიყვარულს, რომელიც სიკვდილზე ძლიერია და რწმენაზე უფრო ფესვიანი. ერთ დღეს გამოიფინა ინახულა უცხოელთა დელეგაციამ. ბარძიმაშვილი დიდის მონღოლმებთან და მისთვის ჩვეული მღელვარებით ყვებოდა მეთაურ საუკუნის ქართველ დიდოსტატებზე. მოულოდნელად მალაღმა უცხოელმა ხახულის ხატის ღირებულება იკითხა. ჯერ ვერ მიხვდა ბარძიმაშვილი, თუ რის გაგება სურდა სტუმარს და როცა მეორედ გადაუთარგმნეს, მის სახეზე გაკვირვება გამოიხატა. ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა მოხუცმა, დაღუშდა და ცოტა ხნის შემდეგ, როცა უცხოელი მიხვდა თავის ცნობისმოყვარეობის უადგილობას, განაგრძო ლაპარაკი.

გუნება გაუფუჭდა იმ დღეს ბარძიმაშვილს. ვერ იქნა ვერ დაივიწყა ის აკრებლებული ახმაზი და მისი თავხედური შეკითხვა. უხალისოდ დადიოდა, სიტყვა არ ემეტებოდა არავისთვის.

სალამოს თავის ითანში იჯდა მარტოხელა მოხუცი და უხმენდა, როგორ ბრაზობდა მარტის ქარბუქი, ეხეთქებოდა კარებს, კაწრავდა ფანჯარას და შინ შემოვარდნას ლამობდა. ხელთნაწერების კითხვა დააპირა ბარძიმაშვილმა, მაგრამ გული ამასაც ვერ დაუღო.

შეფოთებულს გვიან ჩამოეძინა მაგიდასთან. უცნაური სიზმარი ნახა ბარძიმაშვილმა.

მალე უცხოელი შეჰყავს იგი მუზეუმში და რას ხედავს განცვიფრებულ მოხუცი: დარბაზთა კედლები გაშიშვლებულან, გამქარაა მისი სამყარო, მისი წალკოტი, და ბარძიმაშვილი ამ ვეება სამარეში დაუღუდებულა. მეორე დარბაზს მიაშურა ზარდაცემულმა, მესამეს, მეოთხეს... ყველგან ერთი და იგივე... სიჩუმე, სიცარილე, კედლების თავზარდამცემი სიშიშვლე.

გაეღვიმა გულშემოყრილ მოხუცს, სული მოითქვა, წამოადგა და ფანჯარასთან მივიდა. თოვლს დაეფარა პაწა ეწო და ვიწრო ქუჩა. დაწოლა დაეძრა ბარძიმაშვილმა, მაგრამ რალც შინაგანი ხმა თითქოს უბედურებას აუწყებდა.

— თითუ... რა უცნაური სიზმარი იყო. ეს შიშველი კედლები, ეს სიჩუმე, თითქოს ცხადში მოხდა ყველაფერი. იქნებ იქ რალც ხდება და უნდა მივეშვილო ვაი თუ...

გარეთ გამოვარდა ბარძიმაშვილი, ქულის დახურვა დაავიწყდა ბერიკაცს და ფიჭვები უჩინარდებოდნენ მის ჭალარაზე. თითქმის მირბოდა და ვერ ამჩნევდა გაგულისებულ ქარბუქს, ვერ გრძნობდა სიცივეს.

გამოინდა მუზეუმის დათოვლილსახურავიანი ნაცრისფერი შენობა. მთვლემარე დარაჯს არც გაუგია, ისე შევიდა ბარძიმაშვილი შიგნით, გაირბინა გრძელი დერიფანი და დარბაზები გააშუქა.

...კედლებზე ეკიდა სურათები, დიდოსტატთა მიერ შესრულებული ფრესკები და ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატები. ისინი თითქოს არაღ ავლებდნენ დრო-ჟამის მსახვრალ ხელს და საუკუნეთა სრბოლა მათთვის დიდ პირობითობას წარმოადგენდა. არა მარტო თვალი სწვდებოდა ამ დიდებულ სანახაობას, ყურიც ისმენდა სრულყოფილ მანგებს, რომლებსაც სიმებისით გამოსცემდნენ ქართული ორნამენტების ფანტასტური ხაზები. სიჩუმე ამ დარბაზებში მოჩვენებითი იყო. აქ სჩქეფდა ცხოვრება, შექმნილი დიდ ხელოვანთა მიერ, მეტყველებდა სამყარო ნიჭისა, თავდადებისა და პატიოსნების. გაეღვიმა ბარძიმაშვილს.

— გულშეგრძობილ ვყოფილვარ—გაიფიქრა მან. და იქნებ მთელ თავის გრძელ და მწელ ცხოვრების მანძილზე, ასე სრულად, ასე უეჭველად პირველად იწამა მან ხელოვნების მარადიულობა, მისი გარდუვალობა.

გარეთ გამოსული ბარძიმაშვილი სიცივემ შეაწუხა. დ. სტურუა

სოფელი წყალი მოვიდა

სურათი

ან აქამდე როგორ ეკადრებოდა წინგამოგებებული მასპინძელივით სერზე გადმომდგარ სოფელს, რომ სასმელი წყალი არ ჰქონდა. ნეტავი თვალი მომცა და მაცქერინაო, იმისთანა იყო და ეს ნაკლი კი მოსდევდა, როგორც თვალდასა და ტანად კაცს ბავშვობიდან გამოყოფილი ავი ზნე. მასლობელ ქალებში კი ენად გაკრეფილი ბავშვებივით განუწყვეტილვ ტიკტიკებდნენ აქ და იქ ამოხეთქილი ცივი და გამჭვირვალე წყაროები, თითის სიმსხო ნაკადულებად რომ გაფანტულიყვნენ ნებაზე. ზოგან, სადაც ერთმანეთს შეყროდნენ, ნაკადებს ციქნა ტბების მსგავსი აუზები გაეჩინათ, მაგრამ ლალ ნავარდს შერჩეულნი ამ მყუდრო საბუდრებს ვერ შეჰგუებოდნენ, შეთქმულებივით პირი შეეკრათ, ერთ მკლავად ქცეულიყვნენ და ეს ახალი მეტალოვანი დინება, მცირე ჩანჩქერივით დაშვებულიყო სამშვიდობოსაკენ. ქალებში რამდენიმე იყო ასეთი ჩანჩქერი და სახედრებზე აკადებული მუხის კასრებით წყალს აქედან ეზიდებოდნენ ქალები და ბავშვები სოფელში.

კაი აღმართი კი იყო ასატანი. წლიდან წლამდე ასე იყო და თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო მუდამ. მაგრამ ერთ საღამოს მინდორ-ვენახებიდან დაბრუნებულმა მამაკაცებმა, კოლმეურნეობის კანტორის ეწოში დაწყობილ მორბეზე რომ ჩამოსხლადან წყალს სებასოდ, როგორღაც უცხო თვალთ შეხედეს წყაროებიდან მომავალ სახედართა ქარავანს, მათ მოწყულ ქალებსა და ბალებებს. მამაკაცები თავისთავს გაუბრაზდნენ — ასე როდემდე გვეკადრებოდა და იქვე საქმის ბოლოს და ბოლოს მოგვარება გადაწყვიტეს.

სოფლის შუაგულში, შარაგვის აქეთ და იქით, ორი კაკლის ხე იდგა პირისპირ, ფესვგაგარი, ტანად ღონიერი ტოტები ერთმანეთსათვის დაეწყუთ, თითქოს ბაღლობაში რომ დასტიდებოდა დღესაც ვერ გაუთავებიათ ეს რაინდული ორთა ბრძოლა, ხოლო რაკი აქამდე გაუძღეს, ახლა

ალარც ემეტებოთ ერთიმეორე პირს დასაცემათო. **ქარაიშული** აი, მათ ძალდნენ მკლავთა ქვეშ დაიდო სწორედ ბინა მკედრად ნაგებმა და ჩუქურთმით მოხილმა თალიანმა ქვის კედელმა, რომლიდანაც შხუილით გადმოვიდა ერთ მცხუნვარე დღეს ქალებსეული წყაროების მაჯის სიმსხო ნაკადი.

და გამწკრივდა იმ პირველ წყაროს ღართან კოკა და სურა, დოქი და გოზაური, ჯამი და ორჯამიანი, ფილა და ყანწი, ქოცო და ქოთანი, კათხა და ტოლჩა, ჭიქა, ფინჯანი, თასი...


კეთილი საქმის აღსანიშნავად ბოლოს იქვე, იმ კაკლებს ქვეშ, იმ წყაროში ჩაიციებული ღვინო ჩამოარეგეს მაინც.


თითისტოლა გოგო-ბიჭები კი ვერ ელეოდნენ წყაროს, ზოგი კედლის წინ გამართულ ვარცლისებურ აუზში ქუშმალაობდა, ზოგიც უფროსებს უზიდავდა წყალს და კიდეც და კიდეც სთავაზობდა — ისიამოვნეთო. ორი მათგანი — ყველაზე თამამი და დაუღეგარი გოგო და ბიჭი კი თაღს შემოლან მოპქეოდნენ; არად დაგიდედნენ თუ აქ წყალდალეულთა მეოხებით უკვე ისედაც შორს გაფანტულიყო სოფლის სიხარული და აქეთ და იქეთ გასძახოდნენ წკრაილა ხმით: — ჩვენს სოფელში წყალი მოვიდა, წყალი მოვიდა, ებე-ე!

თვით წყარო ისეთი ამბითა და ხმაურით აღარ გამოხსუოდა ღარიდან, უხვად კი მოედინებოდა ისევ, მაგრამ წედანდელი ორომტრიალიდან თანაბარ ჩურჩულზე გადახულიყო და ფრთხილად ეღვრებოდა საიმისოდ გაწყობილ ფილაქანს, თითქოსდა — მიმისთანა ჯილაგისა ვარ, რაკი სიკეთე ვქენ თავს არავის დავამადლი გაუთავებელი კვენა — ტრახახითო.

ეს აქ თავისას ამბობდა მოკრძალებით და კაკლებქვეშ გვიანობამდე შერჩენილი კოლმეურნეებიც იმით ეპასუხებოდნენ — მოდიოთ, ხალხო, და, სოფლის თავსა და ბოლოშიც მოვაჩუხჩუხოთ ამისთანა წყაროებიო.

ბ. გელაშვილი





მეუზოვე

ნიკო ფიროსმანიშვილი (1863—1918) მეტად თავისუფალი და საინტერესო მხატვარია. ამ თეოთნასწაველმა მხატვარმა მთელი თავისი ცხოვრება თბილისელ მოქალაქეთა წრეში გაატარა, თბილისში დაგვიტოვა იგი როგორც ხელოვანი.

ნიკო ფიროსმანიშვილი გარკვეული სტილის ოსტატად დარჩა — ერთხელ არჩეულ გზას იგი ბოლომდე გაჰყვა და ღრმად იყო დარწმუნებული ამ გზის ძალასა და სიმართლეში.

წ. ფიროსმანიშვილის ტილოები გამოირჩევიან ღიაკონიურობით და სისადავით. მათი ფერიტი მეტყველება საოცარ ძალას აღწევს ფიროსმანიშვილი უალრესად ხაღხური მხატვარია — მისი ფუნჯი ერთნაირი სიძლიერით და სიცხოველით უმღეროდა, როგორც ჭვენი დედაქალაქის მიდამოებსა და მცხოვრებლებს, ისევე სოფლის ადამიანებსა და პეიზაჟებსაც.

ამას წინათ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში გამოფენილი იყო წ. ფიროსმანიშვილის ოთხმოცამდე ნამუშევარი. გამოფენა დიდძალი ხაღხმა დაათვალიერა და დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენი ჟურნალის ჩანართ გვერდებზე ვბეჭდავთ წ. ფიროსმანიშვილის ზოგიერთი სურათების რეპროდუქციებს.



გლეხი ქალი ბავშვებით

ქეიფი რთველის ეროს





ქახეთის ციხე

ქალი მარათო




მდიდარი უხელო და დარიბი შვილები



კარგონა მკვრულთათ



ყაჯვანა ცხენი მოიპარა



ქალი ყვადილებით და ჭრადებით



ირმები



ქაღალე



სამი თავადის კუთრი



ვიწიე მკვლარი ატამი





აქტრისა მარგარიტა



ძიძა


თეთრი ღუქანი





ფოტო ო.თ. თურქიასი

სანდრო ინაშვილი



ღერალს, რადგან ყოველდღე იგი ისევ თავისი ახალგაზრდობის დღეებს ხვდება, ყოველდღე ისევ სცენაზე, ისევ ლორნეტით გასცქერის ტატიანას ან ქვითინებს ჯილდას დალუპვის გამო. არ იგრძნობ წელთა სიმძიმეს, თუ კი ისევ შენს საყვარელ საქმეს, საყვარელ ხელოვნებას ემსახურები... მხოლოდ ხანდახან, როცა მარტო დარჩება ზოლმე, დიდხანს შესცქერის თავისი შეგობრისა და სახელოვანი

რატომ შეანელეს ნაბიჯი გამგელელებმა? რატომ გააყოლეს თვალი შავ-შლაპიან კაცს, რომელიც ჩაფიქრებულ ჰოპყვება ქუჩას? ალბათ, იცნეს სახელგანთქმული მომღერალი სანდრო ინაშვილი და თვითეულ მათგანს, განსაკუთრებით, ხანში შესულებს, გაახსენდათ უანლოვის წარსული, გაახსენდათ, თუ სად და როდის მოუსმენიათ საყვარელი მსახიობის ხვეწილოვანი ხმა. იქნებ წარმოუდგათ კიდევაც თვალწინ სანდრო ინაშვილის

- მურმანი...
- ესკამილიო...
- სკარპია...


მაგრამ დრომ თავისი გააკეთა, გაიარა წლებმა და სახელგანთქმული ბარიტონი გამოეთხოვა სცენას. დაემშვი-

დობა სასურველ ეთერს, რომლისათვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ აუგია ბროლის კოშკი, დღეს აღარც კარმენს ხიზლავს ხარებთან გაყვაცური შებრძოლებით, აღარც ტოსკას მახვილი ემუქრება...

სამაგიეროდ, ახლა თვითონ ასწავ-

დის მომავალ მურმანს, თუ როგორ დაისაკუთროს ქალი ეთერი, უხსნის მომავალ ჟერმონს, თუ როგორ უმღეროს ალფრედს და შშობლიურ პიროვნებაში დაბრუნებაზე დაითანხმოს...

პედაგოგიური მოღვაწეობა უდიდეს სიამოვნებას განაცდევინებს ძველ მომ-




პარტნიორის განო სარაჯიშვილის სურათს, ღრმად ჩაფიქრდება და ახსენდება ზაქარია ფალიაშვილი, „აბესალომის“ ბირველი სპექტაკლები, იტალია, ვანოს „თავო ჩემო“... და ტუბულ მონუმენტებს ბოლო არ უჩანს.

ყველაზე დიდი მონაკოვარი

მ. ლეანინძე

ფოტო მ. კვირიკაშვილისა



საბჭოთა ხალხმა იცის მეგობრობის ფასი. მას მგზნებარედ შეუძლია მტრისადმი სიძულვილი და მთელი სულითა და გულით უყვარს მეგობარი. მან კარგად იცის, რომ ამ მეგობრობითაა ძლიერი და მტკიცე ჩვენი სამშობლო.

როცა წერ და ლაპარაკობ ოქტომბრის ყველაზე დიდი მონაკოვრის — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შესახებ, — მაშინ მთელი გრძობა და გონება მიმართულია მოსკოვისაკენ — მშვიდობისა და მეგობრობის დედაქალაქსაკენ. გვაგონდება მოსკოვი ახალგაზრდობის ფესტივალის დღეებში, როცა აქ ქვეყნიერების ყველა კუთხიდან შეიკრიბნენ ჭაბუკები და ქალიშვილები, რათა ერთმანეთისთვის ეთქვათ სიყვარულისა და მეგობრობის სიტყვები, დაესახათ მშვიდობისა და შედინებისათვის ერთობლივი ბრძოლის გზები.

სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაშმული, მოსკოვში ჩამოსვლისას ყოველ ფეხს ნაბიჯზე ვხვდებოდით გულის ამარწყებელ და აღმფრთვანებელ სურათებს.

აბა შეხედეთ ახალგაზრდათა ამ ჯგუფს. ისინი შორეული აფრიკიდან არიან. მათ თავი მოუყარათ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესავალთან. და როგორც ყოველთვის, სტუმრებს მჭიდროდ გარს ერტყმინათ მათი ტოლი საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები. და ეს გასაგებია: თვითმოდ მივსვამს სურს ჩამოართვას ხელი ახალგაზრდა მებრძოლს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მონობისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

აი მათ მიუახლოვდეთ მოსკოველი ახალგაზრდა ცოლქმარი. დედას ხელში ეჭირა ბატარა ბავშვი. მამამ მიმართა ერთ-ერთ ზანგს და რაღაც სთხოვა. თხოვნამ, ალბათ, გაახარა ზანგი. მას გამოეცხა ფართო, გულკეთილი ღიმილი, გაიღვივდა არაჩვეულებრივად თეთრმა, მიჯრიტ მიწყობილმა კბილებმა. ის მომორდა თავის ამხანაგებს. და აი, ახალგაზრდა დედამ ნაზი მზრუნველობით გადასცა მას ბავშვი და სთხოვა, ხელში დაიჭირეთ. მამამ სწრაფად მომართა ფოტოაპარატი და სურათი გადაუღო...

ამ, თითქოს და, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ეპიზოდისთვის შეიძლება არც კი მიგვეციათ ყურადღება, რომ იქვე ცალკე ჯგუფად მდგარი ამერიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები თავისებურად არ გამოხმაურებოდნენ ამ ამბავს. იმ დროს, როცა მეგობრობის ეს მუნჯი სცენა გათამაშდა, მათს სახეებზე შეგვიძლოთ ამოგვეციათ გაოგნებისა და დაუფარავი ცნობისმოყვარეობის გრძობა. მათ ხომ, უთუოდ, ჯერ არასოდეს არ უნახავთ თავიანთ სამშობლოში ასეთი ამბავი, არ შესწრებიან შეკანნიანი აღამაინსადმი სიყვარულის უშუალოდ გამომჟღავნების ასეთ სცენას. იქნებ, ზოგიერთ მათგანისთვის გაუგებარიც იყო გრძობა საბჭოთა მამისა და დედისა, რომელთაც სურდათ ჰქონოდათ ძვირფას სუვენირად ჩაგრული სამყაროს ამ წარმომადგენელთან ერთად გადაღებული მათი საყვარელი შვილის სურათი.

თითქოს ამ დეტრს გაეპასუხაო, მამა მოგვიბრუნდა და ღიმილით წარმოთქვა: — როცა ჩვენი ვოკა დიდი გაიზრდება, დაე, იმაყოს იმით, რომ ბიძია თომას შთამომავალს ხელში ეჭირა იგი და უღიმოდა მას...

თვითმოდ ჩვენგანი ყოველდღიურ ცხოვრებაში სამშობლოს ყველა კუთხეში თვალნათლივ ხედავს და გრძობს ხალხთა მეგობრობის შედეგებს, მის ძალასა და ძლიერებას.

განა იგი არ ანათებს ასე ძლიერ საქართველოს მთა და ბარს, განა მან არ ააგვიზივს რუსთავისა და ზესტაფონის, ჭიათურისა და ტყიბულის ჩირაღდნები? განა დიადი მეგობრობის დაუმრეტელი ძალის მეოხებით არ მოხდა ის, რომ ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ გზებზე სწრაფად მიმოქრიაან ქუთაისური ავტომობილები, ხოლო სულ ახლო წარსულში გვალვისგან გამომშრალ სამგორის ცელ-

ზე ნაირფეროვან ხალიჩად გადაიშალა ყანები და ბაღ-ვენახები? განა ხალხთა თანამეგობრობამ არ შექმნა ისინი? თვალსა და გულს ახარებს რუსისა და სურათის, ბელორუსისა და ტაჯიკის, სომეხისა და აზერბაიჯანელის, ლატვიელისა და ლიტვიელის უანგარო ძმური დახმარება...

შემთხვევითი როდია, რომ რუსთავის პირველ მშენებელთა შორის ქართველ დემეტრავილთან ერთად მონაღმებთ, სიყვარულით და თავდადებით შრომობდნენ რუსი ბაზოზოვი, უკრაინელი ლიხოტა და ჩუგაში კარტაევი, აზერბაიჯანელი კასუმი და სომეხი თეონიანი. მათ აერთიანებდათ სიყვარული და მეგობრობა. ის აზრი, რომ ისინი ერთად ანორცილებდნენ პარტიის მითითებებს და იდგნენ შრომითი ვახტზე წმინდათაწმიდა მიწებისათვის, აძლევდა მათ ძალღონის სიძნელეთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ამ ქალაქის აშენებაში მონაწილეობა მიიღო მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. აქ, ტრამალოსკენ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან გამოემართა მასალებითა და მოწყობლობებით სავსე ეშელონები. მოსკოვლებმა და ლენინგრადელებმა გამოგზავნეს სხვადასხვანაირი დაზვერბი, ურალელებმა — მილსაგლანავი ჩარხი, ნოეოკრამატორსკელებმა — მლუმიხვი, დენპროპეტროვსკელებმა — ლითონკონსტრუქციები. მათ შორეული სოლიკამსკიც არ ჩამორჩა და პირველი მშენებლებსათვის მან ასაწყობი სახლები გამოგზავნა.

ათვალიერებ რუსთავს და გიკვირს, რომ მთელი ეს მშენიერება ასეთ უმოკლეს ხანშია შექმნილი.

ყველაფერი ნორჩია აქ: ნორჩია ქალაქი, მისი მოსახლეობაც ძირითადად ახალგაზრდობაა. მართლაც, რუსთავის გარდა, სად ნახავთ ამდენ ახალგაზრდასა და ბავშვს, ამდენ მაგებს. ისინი მხიარული ჟრიაბულით მოედებიან ქუჩებს, პარკებს, ბაღებს, ყველგან გაისმის მათი ხალისიანი ჟივილ-ხივილი. სწორედ მათთვისაა აქ შექმნილი ათობით ბავშვი, სკოლები, ეს მათ პატივსაცემადაა გაყვანილი ქუჩა, რომელსაც პიონერული ჰქვია.

ის იყო მშენებლებმა საძირკველი ჩაუყარეს ამ-ერკააკისის მეტალურგიულ ქარხანას, რომ პარტიის მოწოდებით ათასობით ახალგაზრდა კოლმურენ-შეკენაზე, მეჩაივ და მეცხოველე დაეშვა მთებიდან, მოვიდა ველებიდან, რათა განხდარიყო მეტალურგი. ჭაბუკთა ამ კეთილშობილურ მისწრაფებას მხურვალედ გამოეხმაურნენ რუსი და უკრაინელი მეტალურგები. მათ ძმური დახმარების ხელი გამოუწოდეს ქართველებს. რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში ღვილი ნათესავეებიც შეხვდნენ საქართველოს წარგზავნილებს. სახელგანთქმული ოსტატები არ იმურებდნენ ძალღონესა და ენერჯიას, ასწავლიდნენ ქართველ ჭაბუკებს მეფოლადის, მგლინავის, მებრძმედისა და ელექტრიკოსის რთულ პროფესიებს.

და აი, როცა დადგა პირველი გამოზადობის მიღების საზეიმო მომენტი, თავიანთი მოწაფეების დასახმარებლად აქეთკენ გამოემშრნენ შულგაკოვი პერფორატორიდან, სტოროვენკო ოდისიდან, კარანიჩენკო „აზოვსტალიდან“ და მრავალი სხვა.

მასწავლებელთა ამაგს უქმად როდი ჩაუვლოა, ახლა რუსთავში მრავლადაა სახელგანთქმული მეფოლადე და მებრძმედე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ახალგაზრდა კოლმურენე იყო. — არ იცნობს მეფოლადეების ფანცულაიასა და კეღლიშვილის, მებრძმედების ვარდიშ კობერიძისა და მრავალ სხვათა შესანიშნავ შრომითს საქმიანობას.

განა მარტო რუსთავის მაგალითზე შეიძლება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ნათელ სურათთა დანახვა? საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში რუსმა ფიქტრებმა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს საჩუქრად გადმოუგზავნეს მაუდის ფაბრიკა, — განა ეს ამბავი არ

დონეცის ფოკალისმდობი ნიკოლოზ ბიჩკოვი სტუმრად ხტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ფოლადისმდობი ი. მეტრეველთან.





ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ორგანიზაციის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია ესაუბრება ჩინეთის ქალთა დელეგაციის წევრებს.

მეტყველებს მოძმე რუსი ხალხის დიდი მზუნველობის შესახებ საქართველოს მრეწველობის აყვავებისა და განვითარებისათვის? ეს მათთვის ფაბრიკა იყო პირველი საწარმო, რომელიც აიგო სოციალისტურ ქუთაისში. ახლა აქ აგებულია 50-ზე მეტი დიდი ქარხანა და ფაბრიკა. ვისთვის არაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში სატვირთო თვითმფრინავები „კაზ“-ის მარკით. ესაა ქუთაისის ავტოქარხანაში დაზღვეული მანქანები. „გაყვებულა ქუთაისში“ — ასე აწერია სამთო-სამახტო მოწყობილობასაც, აბრეშუმის ქსოვილსაც, ფეხსაცმელს, კონსერვებს.

ომის შემდგომ წლებში რუსი ხალხის დახმარებით შეიქმნა მსხვილი საფეიქრო საწარმო გორში. დადინარე კომბინატის ვრცელ, ნათელ სამაქროებში და ხედავთ რუსეთის ფედერაციის მანქანათმშენებელი ქარხნებიდან მიღებულ დაზღვევებს. აი, აქ დგას პოდოლსკიდან მიღებული საფეიქრო დაზღვევი, იქ კი — სათრაშავი მანქანები ივანოვოდან. კოლომნელებმა აქ გამოგზავნეს საქსოვი დაზღვევი. აქ, გორში, ახალი კადრების მასწავლებლად ჩამოვიდა მრავალი რუსი სპეციალისტი. და აი, დიდი ოქტომბრის საზეიმო მზადების დღეებში ამ საწარმოს მრავალეროვნებანიანმა კოლექტივმა გვეგმის გადაჭარბებით ქვეყანას მისცა ასიათასობით მეტრი ქსოვილი.

ხშირად თბილისის კიროვის სახელობის ჩარხ-დაზღვევის მშენებელ ქარხანაში შეიძლება გაიგონოთ საქალაქთაშორის ტელეფონის ხანგრძლივი წკრიალი. ეს ეროვნული ლაპარაკობს. რეკავენ ჩარხ-დაზღვევის მშენებელი ქარხნიდან, სურთ გაიგონ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მსგავლობა, კითხულობენ, რაიმე დახმარება ხომ არაა საჭიროო, იუწყებიან თავიანთი წარმატებების შესახებ...

აი უკვე რამდენიმე წელია, რაც მტკიცე მეგობრობა დამყარდა ორი რესპუბლიკის დედაქალაქთა ჩარხ-დაზღვევის მშენებელ ქარხნებს შორის. ისინიც მუდამ მზად არიან დაეხმარონ ერთმანეთს, გაიხარონ ერთმანეთის მიღწევებით.

შეჯიბრებაში ჩაბმული მოძმე რესპუბლიკების საწარმოთა კოლექტივები არ იშურებენ შემოქმედებით ენერჯიას, ცოდნასა და ძალ-ღონეს, რათა თავიანთი უსაზღვრო შედეგით ჩვენს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საერთო საქმეში. უკანასკნელი წლების მანძილზე წარმოიშვა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამაქალაქო — ქუთაისის, კიროვადისა და ლენინაკანის ფეიქროთა სოციალისტური შეჯიბრება. ამჟამად ამ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ფეხსაცმელის მეკრავნი, მეკონსერვეები, და მრავალი სხვა საწარმოს კოლექტივები.

რაოდენ გულთბილ მზრუნველობას იჩენენ რიგელები თბილისის კეთილმოწყობისათვის, ხოლო თბილისელები დღეიდანა და ფეიქრობენ რიგის უკეთ გამწვანებაზე. და ეს გასაგებია, — ამ ორმა ქალაქმა, ორი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქებმა გადაწყვიტეს გააშრონ სოციალისტური შეჯიბრება კომუნალური მეურნეობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის ქალაქის კეთილმოწყობისთვის. მეურნეობის მშენებელი მიიღეს ამას წინათ თბილისელებმა ქალაქ რიგის წარმოგზავნილები. ხოლო რიგელები აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისის მშრომელებს.

...აბა ერთი გადახედეთ სამგორის ველს, — განა მეგობრობის ამ ყოფლისმძლე ძალაზე არ მეტყველებს იგი?

როცა პარტიამ გადაწყვიტა გაცეცხლებინა სამგორის უნაყოფო ტრამალი და შთაებერა მისთვის სიცოცხლე, მაშინ აქ მოვიდა ათი ეროვნების წარმომადგენელი, რათა დახმარებოდნენ ქართველ ხალხს პარტიის ამ საყოველთაო სხალ-ხო ამოცანის გადაწყვეტაში. აქ, ტრამალში, მოვიდნენ და შრომითი ფერხულ-ნი ჩაებნენ რუსი ფილიპოვი და აზერბაიჯანელი სეიდოვი, სომეხი შაგირიანი და მრავალი სხვა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია როგორც საკუთარმა, ასე თანამოძმის წარმატებები.

და აი, მშენებელთა ერთობლივი ძალისხმევით არხი უმოკლეს ვადაში ოქნა გაყვანილი. ოდესღაც გადაზღვრულ ველზე უზარმაზარ სარკესავით ალაპლაპდა ხელოვნური ზღვა. ახლა მას თავს დაჟვარფატებენ თოლოები, ადამიანის გონების ძალამ შესცვალა ბუნება და ახალი სიცოცხლე შთაბერა მას.

მეგობრობის ძალამ დასჯაბნა ზუნების უზიაკობა. სამგორი გამოიკვალა. უკვე ახლა აქ შეიძლება ცაცხვისა და მურყანის, ფიჭვისა და ნაძვის ჩეროში ჯდომა. შორს როდია ის დრო, როცა „ზღვის“ ნაპირზე გადაიშლება გრილი, ჩრდილოვანი პარკები და ბაღები, სიმწვანეში ჩაეფლობა თბილისელთა დასასვენებელი სახლები და აგარაკები.

უკვე ჰყვავიან მევენახეობის ორი საბჭოთა მეურნეობის ბაღები, ვაკეზე გადაშლილია სახელმწიფო სანერგე ვაშლისა და მსხლის, ატმისა და ქლიავის ნერგთა გამოსაყვანად. იქვეა თუთის ხის სანერგეც.

სასამოვნო და სასიხარულო მედგარი შრომითი მოპოვებული წარმატებას ნაყოფი. რამდენი ძალონისა და ენერჯიის დახარჯვა დაგვიჩრდა, ვიდრე დღემიწა ასე უხვად დაგვასაჩუქრებდა ასეთი ყურძნის ქარვისებური მტკვნელებით. ხოლო რამდენი ჯაფა დაგვიჩრდა, რათა ასეთ ვრცელ მიდამოებზე გადაჭიმულიყო პურის მწიფე თავთავებით დაყურსული ყანის ყვითელი ზღვა. გარლი ნიაგი, თითქოს ეალერსება, ისე აშრიალებს ხეხილთა ტოტებს. და ისინიც დღეს ახარებენ და ახალისებენ მშრომელთა გულს თავიანთი, დოვლათიანი ნაყოფით.

— მე მგონია რამდენიც არ უნდა ვიმუშაო, მაინც ცოტაა, და რამდენიც არ უნდა იყოს მოსავალი მაინც არაა საკმაო. — ფართო, კეთილი ღიმილი ეფინება ჩენი ძმები — სამგორის მუშა-მშენებლები თავდადებული საქმიანობისათვის. ასე აღგვაფრთოვანა მან დიდი შრომისათვის.

მაგრამ განა მართოდენ სამგორს შეუძლია გვამცნოს მეგობრობის დიდი ძალა? ვინ არ იცის საბჭოთა კავშირში მახარადის რაიონისა და ვენიჩესკის კოლმეურნეთა მეგობრობის შესანიშნავი ამბავი? ცხრამეტი წელია, რაც ერთმანეთს მეგობრობენ ორი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო არტელები და ამ მეგობრობამ ბევრი განსაცდელი გამოიარა, იგი განმტკიცდა და გამოიწროა. ისინი მუდამ ერთად არიან ჭირსა და ლხინში, მუდამ მზად არიან დაეხმარონ ერთმანეთს. ეს არის სწორედ ნამდვილი მეგობრობა! და მეგობრობა და შეჯიბრება ეხმარება მათ სიძულეთა დაძლევაში, არტელის მეურნეობის წარმატებათა წლითიწლით ზრდაში.

აი, კიდევ მეორე მაგალითი: ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად შეხვდებით უკრაინის ზელოზიორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. ისინი ეცნობიან ბათუმელთა მიღწევებს, სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალი მოსავლიანობისათვის, პირობების პროდუქციულობის ზრდისათვის ბრძოლის გამოცდილებას.

ჩენი ცხოვრების თვითუფლები დღე მდიდარია საბჭოთა ქვეყნისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა შორის უფრო და უფრო განმტკიცებული მეგობრობის მკაფიო ფაქტებით. საქართველოს ქარხნებისა და ფაბრიკების, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების დათვალიერებისას შეხვდებით დიდი ჩინელი ხალხის, ჩეხოსლოვაკიის, უზბეკეთის, დემოკრატიული ვიეტნამის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოსვლიან ჩვენში იმისათვის, რათა დაეუფლონ ცოდნას, ოსტატობას და გადაიღონ მოწინავეთა გამოცდილება.

რამდენი ჯაფა და შრომა ვასწიეს ზესტავონელმა ფერმდნობებმა ახალგაზრდა ჩინელ სპეციალისტთათვის ოსტატობის სწავლების საქმეში. აქ მათთვის სპეციალური სკოლაც კი შეიქმნა, სადაც ჩინელი მეგობრები ინტენურთა და წარმოების ნოვატორთა დახმარებით სწავლობდნენ ლითონის გამოღობის ტექნოლოგიას, ელექტროტექნიკას, ქიმიას, წარმოების ეკონომიკას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსულ ინჟინერთა ჯგუფს ხშირად შეხვდებით სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. ქართველ მეგობართა დახმარებით ისინი ეცნობოდნენ უნაყოფო მთლიანად გაგროვებული მიწების წარმოებას. საწარმოო პრაქტიკისათვის ერთ წელზე მეტ ხანს დაჰყვეს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში მონოლითის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშეებმა. რესპუბლიკის ენერგომშენებლობაზე თქვენ ნახავთ აქ სასწავლებლად ჩამოსულ ჩინელ, ჩეხოსლოვაკულ და ბულგარულ სპეციალისტებს. თავის მხრით მათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი წინადადება შემოიტანეს სამშობლო საშუალოთა გასაუმჯობესებლად.

მტკიცე მეგობრობა აუკავშირებთ საქართველოს კოლმეურნეობებს ალბანელებთან. ალბანელ მეგობართა ჯგუფი იყო აფხაზეთში. ისინი დაწვრილებით გაცვეცნენ საბჭოთაო კულტურის სოფლის მეურნეობას. გორილებსა და ლავოდელებს ესტუმრნენ რუმინეთის გლეხთა დელეგაციები.

ამერი დახმარება და მეგობრობა მქდავდება სხვადასხვა ფორმებში. ამას დასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ჩარხთმშენებლები საბჭოთა სხვა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ჩინეთის უდიდესი მეტალურგიული საწარმოს ანშანის კომბინატის წარმოების მოგვარებაში, — და ისიც, რომ ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს ახალ პირობულადგურთა პროექტები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, ხოლო ვიეტნამში თბილისის ინჟინრებისა და არქიტექტორთა პროექტით იგება ჩაის მქეპნიზებული ფაბრიკები.

როგორი სიყვარულითა და მზრუნველობით ასწავლეს მახარაქელმა მეჩაიებმა ვიეტნამიდან ჩამოსულ 20 ახალგაზრდა მუშას. მათ წარმატებით დაამთავრეს აქ ჩაის მრეწველობის ტექნიკუმი.

სულ უფრო და უფრო მტკიცდება და ფართოვდება საქართველოს კულტურული თანამშრომლობის კავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. ამ ქვეყნებიდან ჩამოსული მრავალი სტუდენტი ეუფლება მეცნიერებას სტალინის სახელობის უნივერსიტეტსა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს მეცნიერებს მრავალი მოსდით ჩინეთიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ალბანეთიდან, შორეული ვიეტნამიდან.

ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ხალხთა მეგობრობის, მისი ძალისა და ძლიერების დადასტურებას უამრავ მაგალითს. ეს ძალა მთებსა სძრავს, კალაპოტს უსტეკის მდინარეებს, ჰქმნის ახალ ზღვებს. ამ ძალამ აუშვა კოსმოსში და აღანთო დედამიწის ცელონურ თანამგზავრთა ჩირადნები, რამაც ამცნო კაცობრიობას, რომ მისი ყველაზე მეტად სანუჯარი და ვაბედული ოცნებები რეალურ სინამდვილედ აქცია მეგობრობისა და ძმობის მტკიცე კავშირით შემჭიდრობულმა საბჭოთა ხალხმა.

50 ათასი ქართული წიგნი

ქართული სტამბური (ბეჭდური) წიგნის 328 წლის ისტორიის განმავლობაში საქართველოში 50 ათასზე მეტი სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა. დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანი დაკარგა; ზოგი, ცალკეული, ერთეული ეგზემპლარების სახითა დაცული სამეცნიერო ბიბლიოთეკებში ან ისეთ წიგნთსაცავებში, როგორიცაა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა; რევოლუციამდე გამოცემულ მრავალ წიგნზე არ არის აღნიშნული მისი გამოცემის დრო და ადგილი, ტირაჟი და ავტორის სახელიც კი... მაგრამ საქართველოს წიგნის

საქართველოში, დაახლოებით, 200.000.000 ცალი წიგნი გამოცემულა. ამ წიგნების თითქმის ნახევარს სახელმძღვანელოები და სამრეწველო - საინჟინერო-ლოტერატურა შეადგენს, ხოლო დანარჩენი წიგნები დარგების მიხედვით ასე ნაწილდებიან: — მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსები გამოიცა — 11 მილიონი ტირაჟით. სამხედრო-სამეცნიერო და მათემატიკური დარგის წიგნები — 21 მილიონი (ცნობები 1953 წლამდე); ტექნიკური და სამრეწველო ლიტერატურა — 3 მილიონი, სასოფლო-სამეურნეო

მოვიდა, 10 მილიონი ტირაჟით. ქართულად გადათარგმნა და გამოცემა თანამედროვე და კლასიკური რუსული ლიტერატურის ყველა საუკეთესო წარმომადგენლის ნაწარმოები. გამოვიდა პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გოგოლის, ჩეხოვის, ნეკრასოვის, კრილოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ტურგენივის, ბელინსკის და სხვათა თხზულებანი. პუშკინის ქართული თარგმანები დაიბეჭდა 32-ჯერ ორასათასიანი ტირაჟით. ასე ტოლსტოისა 17-ჯერ — სივთაძის ტირაჟით, კრილოვისა — 6-ჯერ — სამოცი ათასი ტირაჟით. ორმოცდაათი ათასი ცალის რაოდენობით დაიბეჭდა — ნეკრასოვის (7 წიგნი), ჩეხოვის (9 წიგნი), ლერმონტოვის (11 წიგნი), გოგოლის (7 წიგნი) ნაწარმოები. გამოიცა გორკის, მაიაკოვსკის, ალექსი ტოლსტოის, შოლოხოვის. ფადეევის, ტინინოვის, ერენბურგის, კატაევის, კავერინის, ნიკ. ოსტროვსკის, გაი-დარისა და სხვათა ნაწარმოები. დაწყებული მაქსიმ გორკის 12 ტომიანი თხზულებათა კრებული 10 ათასი ტირაჟით. გამოიცა ითარგმნა და გამოიცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების და დასავლეთის კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშები, ითარგმნა — ფრანგული, ინგლისური, გერმანული, უნგრული, იტალიური, პოლანდიური, ბერძნული, ებრაული, ინდური, ესპანური, ჩინური, სპარსული, თურქული, ჩეხური, რუმინული წიგნები.

კი წიგნის ტირაჟი 1000-1500 ცალს შეადგენდა. 1913 წელს ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი 2 ათასი ცალი იყო, ხოლო 1953-1957 წელს — 6.000 ცალი. ცალკეული ქართველი მწერლების თხზულებანი ასიათასობით გამოდის. ასე, მაგალითად, სამჭოთა პერიოდში ილია ჭავჭავაძის თხზულებანი 83-ჯერ გამოიცა — 700.000 ტირაჟით, აკაკი წერეთლისა 66-ჯერ — ნახევარი მილიონის ტირაჟით. თანამედროვე ქართველი მწერლების პოპულარობის მანძილებელია — მიხეილ ჯავახიშვილის, ლეო ქიქელიძის, კონსტ. ლორთქიფანიძის კონსტ. გამსახურდიას, სერგო კლდიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის — ორასათასიანი ტირაჟები. სამჭოთა კავშირში ქართველი მწერლების თხზულებანი ახლა უკვე ითარგმნება არა მარტო რუსულ და უკრაინულ ენებზე, არამედ მოკავშირე რესპუბლიკათა ყველა ენაზე, აგრეთვე, თათრულად, უიგურულად, ბაშკირულად და სხვ. სამჭოთა კავშირში ზოგიერთმა ქართველმა მწერალმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ სამჭოთა კავშირის ენებზე გამოცემული მათი წიგნების ტირაჟი მრავალჯერ აღემატება საქართველოში გამოსულ წიგნების ტირაჟს. ასე, მაგალითად, „ფეხისტყაოსანი“ საქართველოში გამოიცა 250 ათასი ტირაჟით, ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში — 350 ათასის ტირაჟით. ილია ჭავჭავაძის, ალექსან-

დრე ყაზბეგისა და ეგნატე ნოზვილის წიგნები 200-ზე მეტი ათასის ტირაჟით დაიბეჭდა, ხოლო აკაკი წერეთლისა 150 ათასი. ლეო ქიქელიძის რომანები და მოთხრობები საქართველოში 230 ათას ცალად გამოვიდა, ხოლო სამჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებმა 700 ათასზე მეტი გამოსცეს. ვიორგი ლენინის ლექსები და პოემები — საქართველოში 102 ათას ცალად დაიბეჭდა, ხოლო სხვა სამჭოთა რესპუბლიკებში 900 ათასზე მეტი. შალვა დადიანის მიხეილ საქართველოში 108 ათასის ტირაჟით გამოვიდა, ხოლო სამჭოთა კავშირის სხვა ენებზე — 450 ათასი. სიმონ ჩიქოვანის ლექსები და პოემები გამოიცა 420 ათასის ტირაჟით. იოსებ გრიშაშვილის ლექსები ქართულად დაიბეჭდა 204 ათასის რაოდენობით, ხოლო რუსულად გამოცემული მისი ერთი საბავშვო წიგნის ტირაჟი 300 ათას ცალს შეადგენს. ქვიშვილის რომანი „ლოლო“ გამოიცა 300 ათასზე მეტი ტირაჟით, იაკინთე ლასაშვილის „კეცხოველი“ 130 ათასის ტირაჟით. ასი ათასზე მეტი ტირაჟით გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანების თარგმანები. სამჭოთა კავშირის გარეთაც ქართველი მწერლებისა და მეცნიერების წიგნების თარგმანები გამოვიდა მრავალ ენაზე, მათ შორის, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად და ესპანურად.

100.000 ცალზე მეტი დაიბეჭდა 25 თანამედროვე ქართველი მწერლის წიგნი

ავტორი	გამოცემთარიცხვი	საერთო ტირაჟი (ათას ცალ.)
1. მიხეილ ჯავახიშვილი	82	840
2. ლეო ქიქელიძე	41	280
3. კონსტან. გამსახურდია	85	217
4. იოსებ გრიშაშვილი	84	204
5. სერგო კლდიაშვილი	82	201
6. აკაკი ბელიაშვილი	24	197
7. კონსტ. ლორთქიფანიძე	48	285
8. ილო მოსაშვილი	30	187
9. გრიგოლ აბაშიძე	29	185
10. რაჟდენ გვეტაძე	88	180
11. კარლო კალაძე	82	180
12. ვიორგი ქუჩიშვილი	84	174
13. ელიზბარ ზედგინიძე	86	170
14. დემნა შენგელაია	26	152
15. სანდრო შანშიაშვილი	37	147
16. ირაკლი აბაშიძე	21	143
17. დავით სულთაშვილი	30	141
18. ნინო ნაკაშიძე	24	140
19. პარმენ ლორია	20	128
20. ვალაქტიონ ტაბიძე	26	119
21. იაკინთე ლასაშვილი	20	118
22. ნიკო ლორთქიფანიძე	24	114
23. სანდრო ეული-ქურდიძე	37	112
24. შალვა დადიანი	22	108
25. ალექსანდრე ქუთათელი	17	107

100.000 ცალზე მეტი დაიბეჭდა 12 კლასიკოსის წიგნი

ავტორი	გამოცემთარიცხვი	საერთო ტირაჟი (ათას ცალთბით)
1. ილია ჭავჭავაძე	88	695
2. აკაკი წერეთელი	66	486
3. ვაჟა ფშაველა	53	372
4. ეგნატე ნოზვილი	46	372
5. ალექსანდრე ყაზბეგი	34	360
6. შოთა რუსთაველი	26	247
7. დავით კლდიაშვილი	26	173
8. დანიელ ჭონჭაძე	15	154
9. ვიორგი წერეთელი	15	125
10. ნიკო ლომოური	21	115
11. შიო არაგვისპირელი	15	109
12. ნიკოლოზ ბარათაშვილი	14	102

პალატის, საჯარო ბიბლიოთეკისა და იქ მომუშავე ქართველ ბიბლიოგრაფთა (პ. ხუნდაძე, გ. ბაქრაძე, თ. ნაკაშიძე, თ. მაჭავარიანი, ვ. ჯოჯოხია) შრომების საფუძველზე ჩვენ ახლა შეგვიძლია ვაღივთავალს წინთ, თუ რას წარმოადგენს „ქართული წიგნის ბიბლიოთეკა“ — 50 ათასი ტომი, რომელიც ქართველ მწერალთა, პედაგოგთა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა, მესტამბეთა, მბეჭდავთა და ასოთამშობთა მრავალი თაობების შრომის შედეგს წარმოადგენს. ოქტომბრის რევოლუციამდე, ე. ი. ბეჭდვითი წიგნის არსებობის თითქმის 300 წლის განმავლობაში (1629-1920) — 6203 ქართული წიგნი გამოვიდა, ხოლო 1921-1957 (წლის 1 ნახევარი) წლების განმავლობაში — 44.032 (შეფარდება 12 და 88 %)!

განსაკუთრებით გაიზარდა გამოცემათა რიცხვი დიდი სამამულე ომის შემდგომ პერიოდში. სულ 1946-1957 წლების მანძილზე 17.395 წიგნი გამოვიდა, ე. ი. 34 % საქართველოში გამოსული წიგნებისა.

1921-1957 წლების განმავლობაში საქართველოში გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟი 194 მილიონს შეადგენს, ხოლო თუ 1921 წლამდე გამოცემული 6203 წიგნის ტირაჟსაც ვივარაუდებთ — სულ

დარგის წიგნები — 15 მილიონი, საენათმეცნიერო და სალიტერატურთმცოდნეო — 17,5 მილიონი, სამედიცინო — 5 მილიონი; მხატვრული ლიტერატურა — 21 მილიონი, საბავშვო ლიტერატურა — 9 მილიონი. საქართველოში გამოცემული წიგნების 25 % სხვა ენებიდანაა თარგმნილი.

განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიქმნა ცრცელი თარგმნილი ლიტერატურა.

თარგმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ყველა ძირითადი თხზულებანი. გამოიცა კარლ მარქსის „კაპიტალის“ ყველა ტომი — თითო 15.000 ტირაჟით. ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებული რამდენიმეჯერ გამოიცა. 1933-34 წლებში გამოშვებული რჩეული თხზულებათა კრებული 205.000 საერთო ტირაჟით დაიბეჭდა.

1953 წელს დამთავრდა ლენინის თხზულებათა კრებულის მე-4 რუსული გამოცემის თარგმანის ბეჭდვა. თითო ტომი 20 ათასი ცალი ტირაჟით გამოვიდა და, ამგვარად, სულ 700.000 ტომი დაიბეჭდა. ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებული 490.000 საერთო ტირაჟით გამოიცა.

სულ 1921-1953 წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა 561 ცალკე გამოცემა გა-

განსაკუთრებით ბევრი ითარგმნა და დაიბეჭდა ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენებზე. ასე, მაგალითად 1921-1957 წლების განმავლობაში გამოვიდა 32 ფრანგი მწერლის 85 წიგნი. მათ შორის ბალზაკის, ჟორჟ ბუდიეს, ჟიულ ვერნის, ვიქტორ ჰიუგოს, ალექსანდრე დიუმას, გი დე მოასანის, სტენდალის, ანატოლ ფრანსის, ანრი ბარბუსის, ემილ ზოლას და პროსპერ მერიმეს თხზულებათა საერთო ტირაჟმა 250.000 ცალი შეადგინა.

ქართულად გამოცემულ წიგნების 75 % ორიგინალური ლიტერატურა შეადგენს.

ეს ფაქტი მრავალმეტყველია, რადგან ამ წიგნთა უმრავლესობა მიკვირების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ისეთ დარგს ქართველების, რომლებსაც შეესაბამებოდათ არც ერთი წიგნი არ მოგვეპოვებოდა.

სახელმძღვანელოების ტირაჟი — ასიათასობითაა. მაგალითად, დავით ლონდუას ფიზიკური გეოგრაფიის ორიგინალური სახელმძღვანელო ერთ მილიონზე მეტი ტირაჟით დაიბეჭდა.

ქართველ მწერალთა წიგნების ტირაჟები არაჩვეულებრივ გაიზარდა. რევოლუციამდე მწერლებიდან მხოლოდ იაკობ გოგებაშვილის თხზულებები გამოდიოდა დიდი ტირაჟით — და ისიც იმიტომ, რომ, მაგალითად, „დიდანი“ — ერთადერთი პოპულარული ქართული წიგნი იყო, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა და 36 წლის განმავლობაში (1876-1912 წლებში) — ამ დროისათვის სრულად საზღაბრო ტირაჟით — 577.000 ცალად გამოვიდა — საშუალოდ

** 1893-1904 წელს საქართველოში 1500-მდე სახელწოდების წიგნი გამოვიდა. მათ შორის 471 წიგნი არაღებულად გამოიცა.

** რევოლუციამდე ქართველ მწერლებიდან ყველაზე დიდი ტირაჟით იაკობ გოგებაშვილის წიგნები გამოდიოდა. სულ 1865-1917 წლის განმავლობაში რუსულ და ქართულ ენაზე მისი წიგნები 1.167 ათასის ტირაჟით გამოვიდა.

აქედან: „დედა ენა“ — 577 ათასი, „რუსეთი სლოვო“ — 2 ნაწილი 295 ათასი, „ბუნების კარი“ — 98 ათასი, „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ — 80 ათასი, „კოკორი“ — 70 ათასი.

** ქართველი მწერლებიდან ყველაზე მეტი წიგნი ჭავჭავაძის კიქინამდე გამოიცა: მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში — მისი ხელმოწერით (და აგრეთვე ფსევდონიმებით — ია მარუშიძე, ზ. მთაწმინდელი, სანდალა და სხვ.) — სულ 159 წიგნი და ბროშურა გამოიცა.

** საინტერესოა ცნობები თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაყოფიერების შესახებ.

მართალია, მწერლის ღირსების შეფასება მისი თხზულებების სიმრავლით არ შეიძლება, მაგრამ რუსთაველისა არ იყოს და „მოშირიე არა ჰქვია თუ სადმე სოჭვას ერთი, ორი“ და მწერლის მიერ დაწერილი, წიგნების რაოდენობაც მისი შემოქმედებითი შრომის ნაყოფიერებაზე მეტყველებს.

საქართველოში 1921-1958 წლების განმავლობაში 262 ქართველი მწერლის წიგნი გამოვიდა. აქედან 80 მწერალმა 1 წიგნი გამოსცა, 118 მწერალმა 1-დან 5 წიგნამდე, 40 მწერალმა 6-დან 10 წიგნამდე, 24 მწერალმა 11-დან 20 წიგნამდე, 25 მწერალმა 21 და მეტი წიგნი.



შვიდკაცა

ბერამ გომართალი

სიზღაგა საქათაპოჩისო ანა

— მირ, დრუჟბა... მირ, დრუჟბა! —
ერთხმად გუგუნიებს დარბაზი, ტამბორიტმულად სცემს, შემდეგ ირევა და ოვაციებში გადადის.
სცენაზე დგანან წარმოსადგევი, შავ-ულვაშა ჭაბუკები, აცვიათ ვერცხ-ლისფერად მოსირმული, რძისფერი ჩო-

მსოფლიო ახალგაზრდობის VI ფესტივალის დღეებში.
დიდი აღიარება ჰპოვა ანსამბლმა ხალხური სიმღერების კონკურსზე. ჟიურის დებულების თანახმად, კონკურსში მონაწილე გუნდებს პირველ ტურზე მხოლოდ ოთხი სიმღერის შესრულების უფლება ჰქონდათ. ანსამბლის ხელმძღვანელის ჯანო კახიძის და მთელი გუნდისათვის არცთუ ისე ადვილი იყო სიმღერების შერჩევა. ოთხი

ვიცნო მაგ სიმღერის ყოველი ნიჰანსი და დეტალი.
„შვიდკაცამ“ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია და მსოფლიო ფესტივალის ოქროს მედლები დაიმსახურა.
ჯანსულ და თეგვიზ კახიძეები, მიხეილ შავიშვილი, მანია ხატულიშვილი, გიორგი გუგუშვილი, ვანო მაჭავარიანი, თენგიზ კორინთელი, ჯონდო მიქელიშვილი — აი ისინი, რომლებმაც მოსკოვის ფესტივალის დღეებში ქართული სიმღერების სიტკბო და ლაზათი აჩვენეს ინგლისელებს, სირიელებს, ფინელებს, არაბებს, ჩინელებს, არგენტინელებს, ეგვიპტელებს, ფრანგებს, ამერიკელებს, იტალიელებს...



ჯანო კახიძე ნიჰიერი დირიჟორია, შვიდკაცას გარდა იგი ლოტბარობს საქართველოს სახელმწიფო კაპელას.

ანსამბლის გზა

მერე რა, რომ „შვიდკაცას“ სულ ცოტა ხნის ისტორია აქვს. სამაგიეროდ ამ ანსამბლმა „დებადებისთანავე“ გაითქვა სახელი და თავისი პატარა ბიოგრაფია მრავალი ძვირფასი და დაუვიწყარი დღეებით აავსო. მაგრამ ჯან თავისი „ოფიციალური“ ხნოვანების გარდა გაუტარებია წლები, რომლებსაც დღეს სათვალავში არ აგდებენ. ამ წლებმა დიდი როლი ითამაშეს მომავალი შესანიშნავი გუნდის წარანტლებში.

საქმე იმაშია, რომ „შვიდკაცას“ თერთადი ბირთვი ჯანსულ კახიძე, ჯონდო მიქელიშვილი, ვანო მაჭავარიანი, თენგიზ კორინთელი და გიორგი გუგუშვილი თანატოლები არიან, ერთ სკოლაში აღზრდილები და საუკეთესო მეგობრები. ბიჭები ხშირად გადიოდნენ თავისებურ „რეპეტიციებს“, სასკოლო შესვენებებსა და მეგობრულ საღამოებზე. აბა, რა იცოდნენ, რომ თავიანთი ტკბილი სიმღერებით, მხოლოდ ანლო-

თან მუშაობას. შეარჩია რეპერტუარი, კლასიკაში ჩააყენა გუნდი. ერთუნიანი შიში შეუდგა საყვარელ საქმეს გუნდის ხელმძღვანელი ჯანსულ კახიძე. ეს უდაოდ ნიჰიერი ლოტბარი საოცარი გამოგებითა და ოსტატობით ხვეწდა და ამუშავებდა ყოველ სიმღერას.
ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ ანსამბლის თვითუფლებს უყვარს სიმღერა, მონდომებითა და სიამოვნებით ეკიდება თავის მოვალეობას. სწორედ ყველაფერი ამის შედეგი იყო, რომ „შვიდკაცამ“ ფესტივალზე სახელი გაუთქვა ჩვენს შინაინ, მდიდარ სიმღერებს, ხალასად, ფაქიზად წარმოუდგინა ყველა ქვეყნის წარმომადგენელს ჩვენი ეროვნული, ძველისძველი სიმღერები.

„შვიდკაცამ“ ახლა აიდგა ფეხი, მას მომარება და გაძლიერება სჭირდება. იმედია, ვისაც ეს საქმე ეხება, დახმარებასა და ყურადღებას არ მოაკლებს საუკეთესო გოკალურ კოლექტივს.

მხიარული, ცოცხალი საუბრით მიემართებიან გუნდის წევრები კონცერტზე გამოსასვლელად. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ტკბილი სიმღერებით დაატკობენ მრავალრიცხოვან მაყურებლებს.



„შვიდკაცა“ რეპეტიციაზე.

ხები, ლენისფერი ახალუხები, თეთრი ჩექმები.

მაყურებელი არ ცხრება... ჭაბუკები კი იღიზიან და მდებარე უკრავენ თავს მსმენელებს. შემდეგ შეიმართნენ, გასწორდნენ და დარბაზში გურული „პასანბეგურა“ დაიჩნდა.
საოცრება მოხდა. ეს მეტად თავიანთი, რთული და მრავალხმიანი სიმღერა გამოცანად იქცა მსმენელთათვის. საუკეთესო მეგობრულად მიხეილ შავიშვილი ოსტატობით ასრულებდა თავის პარტიას, გამოკვეთილად, ზუსტად მღეროდა და ანსამბლის საერთო ხმიანობაში შესანიშნავად იქცა.

კელაგ აბოზორდა და დარბაზი, გაისმა მოწონებისა და განაცხადების, სიხარულისა და მეგობრობის გამოხმატველი შეძახვები.

ასეთი იყო ქართული გოკალური ანსამბლის „შვიდკაცას“ გამოსვლები


სიმღერით ჟიურის წევრებს წარმოდგენა უნდა შექმნოდათ ქართულ სიმღერებზე. ამასთან, სიმღერები სხვადასხვა ხასიათისა უნდა ყოფილიყო, რათა იგი მსმენელთათვის მოსაწყენი არ გამხდარიყო.

ბოლოს და ბოლოს, ეს სიმღერებიც დადგინდა: გურული „პასანბეგურა“, „იმერული სხუშარო“, „კეისრული“, კახური მოკლე „მრავალკამიერი“.

კონკურსის ჟიურიმ ალტაცებით მოისმინა ქართული სიმღერები. ჟიურის თავმჯდომარემ, ფრანგმა კომპოზიტორმა ფილიპ ჟერარმა გადაწყვიტა პირადად ეთქვა მადლობა ახალგაზრდებისათვის, მაგრამ საერთაშორისო კანონს ვეღარ უღალატა, თავის მაგივრად მდივანი ქალი გაისტუმრა — დიდი მადლობა შეუთვალა სიამოვნებისათვის და თხოვნაც დააბარა — მორე ტურზე უეჭველად იმღერეთ ის საოცარი „პასანბეგურა“, მინდა შე-

თიქლია ასეშია

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ლაპარაკია კაცობრიობისათვის უცნობი „თოვლის ადამიანის“ — იეტის შესახებ, მაგრამ მოგზაურები უწინ ამ ფაქტებს ყურადღებას არ აქცევდნენ და დაუფერხებელ აზრად თვლიდნენ. პირველი ცნობები იეტის შესახებ მიეკუთვნება 1898 წელს, როდესაც ჰიმალაის ექსპედიციის მონაწილემ ინგლისელმა უედელმა გამოაქვეყნა ანგარიში. მან ტიბეტის საზღვარზე, დონკია-ლას გა-



დასასვლელზე (5180 მეტრის სიმაღლეზე) შეამჩნია „თოვლის ადამიანის“ კვალი და აღწერა იგი. უფრო გვიან, 1921 წელს, პოვარდ-ლენიუსმა ექსპედიციის წევრებმა ჰიმალაებში, 6700 მეტრის სიმაღლეზე, ნახეს „თოვლის ადამიანის“ რამდენიმე კვალი.

მას შემდეგ იეტის ბევრი კვალი იქნა ნახული. 1935 წელს მდინარე სალუენის სათავეებში (ტიბეტის აღმოსავლეთ ნაწილში) მოგზაურმა კაულბაკმა 4900 მეტრის სიმაღლეზე ნახა იეტის მრავალი ნაკვალევი, რომელიც ცივბროს სეობას მიჰყვებოდა. გამოკვლევმა, ადგილობრივმა მცხოვრებელმა, კაულბაკს დაუდასტურეს რომ ეს ნაკვალევი „მთის ადამიანის“ ეკუთვნის, რომ ასეთი ნაკვალევი მათ მრავალჯერ უნახავთ და ტიბეტელები ამ არსებებს „მეტოხკანგმის“ უწოდებენ, რაც მათ ენაზე „ჭუჭყიან თოვლის ადამიანს“ ნიშნავს, რომ მას თეთრი კანი აქვს, შიშველია და ტანი გრძელი, მოწითალო ფერის ბალნითა აქვს დაფარული.

იტალიელმა მოგზაურმა ტომბოციმ ნახა არა მარტო ნაკვალევი, არამედ თვით იეტიც. პოკ კაბრუსთან შეხვედრების დროს, 4600 მეტრის სიმაღლეზე, ტომბოციმ 200-300 მეტრის დამორჩილ თოვლზე დაინახა ფიგურა, რომლის გარჩევა ძნელი იყო თოვლზე დი-

დი ანარეკლის გამო. ფიგურა ფორმით ადამიანს წაგავდა, მოძრაობდა ვერტიკალურად — უკანა კიდურებზე, დროდადრო ჩერდებოდა, გლეჯდა როდოდენდრონს და სჭამდა. ფიგურა თოვლზე შავად მოსჩანდა და სრულიად შიშველი იყო. სულ მალე იეტის სწორი ბუჩქნარში გაუჩინარდა. ტომბოციმ დათვალიერა მისი ნაკვალევი, რომლის სიგრძე 15-18 სმ. ხოლო სიგანე 20 სმ. უდრიდა.

ევერეტის ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯონ ჰანტი თავის წიგნში „Восхождение на Эверест“ წერს, რომ მან სოფელ ტიანგბორეს მონასტერში მთავარ ლამას გამოკითხა იეტის შესახებ. „ჩემს კითხვაზე, — წერს ჰანტი, — მოხუცი ლამა გამოცოცხლდა, გაიხედა ფახვარაში და დამანახა მინდორი, სადაც მან რამოდენიმე წლის წინათ ზამთარში დაინახა იეტი. ეს ცხოველი დიდი ნახტომებით მოძრაობდა. სიმაღლით დაახლოებით ერთნახევარი მეტრისა იყო, ტანი დაფარული ჰქონდა ბეწვით. იყურებოდა რა მინდვრისაკენ, ლამას დაავიწყდა სტუმრები და ცდილობდა მცხობრებაში აღედგინა ნახული სურათი. იეტი გაჩერდა, მოიფანა კეფა და ლამამ თვალსაჩინოდ გაიმეორა იეტის ქცევა. შემდეგ იეტმა ხელი დაავლო თოვლის გუნდას, ცოტა წაითამაშა და თანაც რაღაცას ბურტყუნებდა (მონხუმა კოვავ დამაჯერებლად გასცინა იეტის ხმას). ამ დროისათვის მონასტრის მოსახლეობა ძლიერ დედაცა და ლამებმა გადაწყვიტეს უკუქეცხლათ დაუპატიჟებელი სტუმარი. მათ ხმაური ასტეხეს, საყვირებში ჩაბებურეს. იეტმა მოკურცხლა და ბუჩქებში მიიშალა“.

ინგლისელმა მარეიმ ორიოდ წლის წინათ მხუთეჯერ გამოსცა სპეციალური შრომა, რომელშიც თავმოყრილია ყველა ცნობა ან გადმოცემა „თოვლის ადამიანის“ შესახებ. მარეის მიხედვით „თოვლის ადამიანი“ ცხოვრობს 4-6 ათას მეტრ სიმაღლეზე ჰიმალაებში, ტიბეტისა და ნეპალის ძნელადსავალ ხეობებში. ისინი შიშველი და დიან. მთელი ტანი დაფარული აქვთ მოწითალო ფერის სქელი ბალნით, თითქმის თანაბრად აქვთ განვითარებული ზემო და ქვემო კიდურები, ამიტომ ადვილად მოძრაობენ ცივბროს კლდეებზე, თოვლიან და ყინულიან მთებზე.

ასეთია დღემდე ლიტერატურაში არსებული ცნობები „თოვლის ადამიანის“ შესახებ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით იეტი, ეს იგივე ტიბეტის წითელი დათვი ან გულმუნია (მაიმუნის ცხოველს ჰიმალაის მთებში), ზოგის აზრით კი თოვლის ადამიანი ფანტაზიის ნაყოფია.

სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის ნამდვილი წევრი, სპორტის დამახსობებელი ოსტატი ლეტავეტი უარყოფს „თოვლის ადამიანის“ არსებობას, სამაგიეროდ პროფესორი ნ. სიროტინი, ალბინიზმის სპორტის ოსტატი ა. ალექსანდროვი და აკადემიკოსი ს. ობრუჩევი თავიდანვე გამოსთქვამდნენ აზრს „თოვლის ადამიანის“ არსებობის შესახებ. მართლაც, უკანასკნელი მონაცემების მიხედვით დასტურდება ეს მოსაზრება.

1953 წელს გაზეთ „დელი მილის“ რედაქციამ სპეციალური ექსპედიცია გაგზავნა იეტის საძებნელად. მართალია ექსპედიციამ ვერ აღმოაჩინა თვით „თოვლის ადამიანი“, სამაგიეროდ პანგბორესა და კხიმჯუნგის მონასტრებში მიაგნეს იეტის სკალბებს, ე. ი. თავის ქალბებს. ამავე დროს პირად საუბარში, ადგილობრივ მცხოვრებლებთან, გამოიჩინა, რომ ბევრ მათგანს უნახავს იეტი. ექსპედიციის მასალები შეაჯამეს და ამ საკითხს სპეციალური შრომები მიუძღვნეს ინგლისელმა მეცნიერებმა იზარდმა და სტონორმა (გამოცა ლონდონში 1955 წელს).

სტონორი შემდგენიარად აღწერს იეტის გარეგნობას: პატარა, ტანდაბალი ცხოველი, დაახლოებით 14 წლის ბავშვის სიმაღლისაა. ტანი დაფარული აქვს მოწითალო ფერის მავარი ჯავრისებური ბეწვით, ბრტყელი სახე აქვს, ისე, როგორც მაიმუნს. საკმაოდ შეიწროვებული თავი, კუდი არა აქვს. იეტს ჩვეულებრივ ორ ფეხზე მოძრაობს, ისე, როგორც ადამიანი, მაგრამ კლდეზე მოძრაობისას, ან სირბილის დროს ოთხზედაც დადის. მათი ყვირილი ხმამაღალ კრუტუნებს ჰგავს. ასეთი ძახილი ისმის ხოლმე ალიონში, ან შედამებისას. იეტი ცხოვრობს 4000-5500 მეტრ სიმაღლეზე, ტყისა და მუდმივი თოვლის საზღვრებს შორის. ის ზონა მოიცავს ჰიმალაის ქედის მნიშვნელოვან ნაწილს. ამავე დროს სრულიადაც არ წარმოადგენს უდაბურს. არამედ დაფარულია ალბური მდლოებითა და ბუჩქნარით. იქ გავრცელებულია ფრინველებისა და მჭუჭყურების მრავალი სახეობა. ამიტომ იეტის თავისუფლად პოულობს თავის საკვებს — მალახის, ძირნაყოფს, მწერებს, ფრინველებისა და პატარა მჭუჭყურების სახით.

დიდი ინტერესი გამოიწვია იეტის სკალბმა, რომელიც ორ მონასტერში იქნა აღმოჩენილი. ლამების გადმოცემით ასეთი სკალბები არის სხვა მონასტრებშიც და თურმე როლიგიური დღესასწაულების დროს ლამები თავზე იღებენ იეტის სკალბს. მხოლოდ დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ უჩვენებს ევროპელებს ბერებმა ეს რელიკვია, გა-

ყიდვები კი კატეგორიული უარით განაცხადეს.

ინგლისელმა მეცნიერმა ვ. ჩერნეცკიმ (რომელსაც ეკუთვნის სპეციალური თავი იზარდის შრომაში) სკალბის მიხედვით აღადგინა იეტის თავის ფორმა და მოახდინა იეტის თავის ქალას რეკონსტრუქცია (სურ. 1). ჩერნეცკის აზრით იეტი ანლო დგას იმ გიგანტობითებთან, რომელთა დღემდე მხოლოდ კბილებია ნაპოვნი. ამავე დროს ჩერნეცკიმ მოახდინა იეტის ტერფის ნაკვალავის შედარება ქვის ხანის ადამიანისა და გორილის ნაკვალევთან. ეს შედარება ადსტურებს, რომ იეტი არ შეიძლება მივაკუთვნოთ დათვებს, იგი, ემგვარებო, პრიმატებს მიეკუთვნება.

ნაკვალავის შედარებით ჩერნეცკი იქ დასკვნამდე მივიდა, რომ იეტი დიდი ანთროპოიდია, სიმაღლით ორ მეტრამდე, ძლიერი ავტოლობობი, მსხვილი კიდურებით, წონით 80-100 კილოგრამამდე. ჩერნეცკიმ ყველა არსებულ მასალის საფუძველზე მოახდინა „თოვლის ადამიანის“ გარეგნული ხედის რეკონსტრუქცია (სურ. 2).

საინტერესოა ალბინიზმის, რომ პამირზე, მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის უკაცრილო და ძნელად მისასვლელ ადგილებში, ავრტეფე, ყოფილა გავრცელებული „თოვლის ადამიანი“. დაცულია ლეგენდები და თქმულებები პამირის „ველური“ ადამიანის შესახებ, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები გოლუბი-ვანს უწოდებენ.

აკადემიკოსი ს. ობრუჩევი დასძენს: შეიძლება ჩაითვალოს, რომ რიგი ფაქტები აღასტურებენ ჰიმალაის მაღალ მთიანეთში ანთროპოიდის არსებობას. ეს ანთროპოიდი უფრო ორგანიზებულია, უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე მაიმუნი. მაგრამ უფრო პრიმიტიულია, ვიდრე ქვის საუკუნის ყველაზე პრიმიტიული ადამიანი.




კრუფოვნიკის პატარა მოედანზე კლემენტის გალერეის მახლობლად, ზედ სამხედრო საყარაულოს პირდაპირ, რომელიც ხიდის ყურეში იდგამ, იქ ყოველთვის ვხედავდი მას, როცა ბიჭები ხუთშაბათობით, ნასადილებს, თავისუფლად დროს მივდიოდით ხოლმე სტარე მნესტოში წიგნების დასათვალიერებლად, რომლებიც ბუკინისტებს გამოჰქონდათ გასასყიდად. ვოტიშეკს თავი ჩაღუნული ჰქონდა ხოლმე, მიწაზე მის წინ ქული იდო, ხელში კრიალოსანი ეჭირა. მას ყურადღებას არავინ აქცევდა. მოტყუებული თავი, ლოყების, ხელების დაბრუნული აღარ ჰქონდა, გაყვითლებული კანი ქერცლიან ნაოჭებზე შექმნილიყო.

ეს იყო მთელი ჩემი ქონება, რაც იმ დღეს გამაჩნდა — და სწრაფად გავბოდი. ერთხელ იგი ხიდზე დავინახე. პოლიციელს მალა სტრანაში მიმყავდა. ეს იყო და ეს, შემდეგ არასოდეს აღარ მინახავს.


თებერვლის სუსხიანი დილა იდგა. ბინდი ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო. ფანჯრები სქლად იყო დაფარული ნაყშიანი ჭირბლით, რომელზეც გახურებული ლუმების ცეცხლის ნარინგოვანი ანარეკლი დათამაშებდა. ჩვენს სახლთან პატარა სახილარი გაჩერდა, ვაისმა ძაღლების ყეფა.

გვერდით კი პოლიციელი პან კელიციკი. ოთხკუთხა მინიან ფარაში ქონის ხანთელი ციმციმებდა. — რას ამბობთ, პან ვოტიშეკი? — შევითხა მერძევე, და ერთ ხანს შეუწყობა კოვვის რევა რძეში. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ რძე უფრო ნალბიანი გამოჩენილიყო, რაც ოფიციალურად აკრძალული იყო, მაგრამ, როგორც ვთქვით, პან კელიციკი გულკეთილი ადამიანი გახლდათ. — დიახ, — უპასუხა მან, — ჩვენ იგი შუადამიხას ვიპოვეთ ოფიციელს, კანონერთა ყაზარმასთან. გათოშილიყო და თქვენი ქირა წადილა. ხაცხედრეში გადავგვავნეთ კარმელიტებთან. დაკონკილი სერთუკი და დაძინილი შარვალი ეცვა შიშველ ტანზე, ბერაგვიც კი არ აღმოჩნდა... ჩემურიდან თარგმნა შალვა გვინიძე

გრიგოლ რჩეულიშვილი



(პარლამენტულიდან 80 წლის შემსრულებლის ბაშო)



ოთხმოცი წლის წინათ, თბილისის ახლად გაშენებული უბნის — კუყის ქართულ ყაიდაზე ნაგებ ერთ-ერთ სახლში, სისხლის მოწამვლისაგან გარდაიცვალა 57 წლის ნოტარიუსი გრიგოლ ილარიონის-ძე რჩეულიშვილი.

ამ ამბავს დიდი გამოხმაურება არა ჰქონია, და მხოლოდ „დროებაში“ აღნიშნა, რომ „გუშინ წინ დილით ქალაქში გარდაიცვალა ერთი მოღვაწეთაგანი ქართულის ლიტერატურისა უფ. გრიგოლ რჩეულიშვილი, ავტორი ღირსია, რომ ქართულ ლიტერატურის მოყვარეთა უკანასკნელი პატივისცენ და უკანასკნელ „სადგომად“ მიაცილონ“.

აი, ასეთი ცივი და მოკლე ქრონიკა იყო დაბეჭდილი განცხადებულ გრიგოლ რჩეულიშვილის გარდაცვალებაზე, „ასე გულგრილად გამოიგლოვეს ის აღმანი, რომლის მგრძობიარე ძარღვიც თავისი ქვეყნის მწერლობის ასაყვავებლად სცემდა“, წერდა 1926 წელს ყველა „დავიწყებულია და გამოჩენილია“ ქობაჯი — იოსებ გრიშაშვილი „ქვერვის ლომონების“ ცალკე გამოცემისათვის დაწერილ შესანიშნავ ეტიუდში.

მართლაც საკვირველი იყო ეს გულგრილობა იმ აღმანის მიმართ, რომელიც კანონიერად ითვლება ქართული ფსიქოლოგიური და ისტორიული რომანის დაწვევად, რომლის კალამს ეკუთვნის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“, მშვენიერი ისტორიული მოთხრობები „ანუკა ბატონიშვილი“, „ქვერვის ლომონები“ და სხვ. მრავალი ლექსი, რომელიც ხალხმა სასიამოვნოდ გახანდა და იმდენად შეისისხლბორცა, რომ მკვლევარები მათ უავტორო — ხალხურ ლექსთა შორის ახსენებდნენ.

ასეთი ლექსია, პოპულარული: „ახ, მთვარე, მთვარე, დამწვართ იმედო, მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო“.

ან „სიყვარულო! რა გრძნობა გაქვს, რისგანა ხარ შედგენილი“.

ანდა „რაც შენ დაგზორდი, ჯერეც ეს ალი, ამ დამწვარ გულში არ არს გამჭრალი“.

ი. გრიშაშვილი იგონებს: „ასიყო ცაგარელის პიესები ხავსეა გრ. რჩეულიშვილის ლექსების ციტატებით, რამდენჯერ მომისმენია ეს ლექსები სცენიდან ნამღერი ვასო აბაშიძის თუ კოტე ყიფიანის მიერ („ხანუმა“, „ბაიყუში“) და სრულიად ვერ წარმომედგინა, რომ ეს ლექსები „თამარ ბატონიშვილის“ ავტორს ეკუთვნოდა“. ისტორიული რომანს „თამარ ბატონიშვილს“ იმ დროისათვის არაჩვეულებრივი პოპულარობა მოუპოვებია. იგი 1862 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“, და მას შემდეგ 1878, 1881 და 1882 წლებში გამოიცა ცალკე წიგნად; რაფიელ ერისთავმა გალექსა, ხოლო სვიმონ გუგუნივამ მის საფუძველზე შექმნა საყოველთაოდ ცნობილი რომანი — ლექსად — „თამარიანი“, კოტე მესხმა დრამად გადააკეთა.

„ანუკა ბატონიშვილი“ „ცისკარის“ 1860 წლის ნომერის ნომერში დაიბეჭდა, შემდეგ 1878 წელს, ავტორის სიკვდილის შემდეგ, გამოიცა ჯაქარია ჭიჭინაძის წინასიტყვაობით და მესამედ, 1896 წელს, ახალ-სენაქში დაბეჭდა ს. თვარტქილაძემ.

ორივე ამ ისტორიულ რომანს დიდი გამოხმაურება ჰქონდა: 1862 წლის „ცისკარის“ პირველ და მესამე ნომერში გამოქვეყნდა ნინო ერისთავის და კახელი მებუჯის კრიტიკული წერილები, რომლებშიაც ისინი ჰკიცხავენ გრ. რჩეულიშვილს „წინაპართა სიცრუით შეცხების“ გამო. კახელი მებუჯის წერილს „ცისკარის“ რედაქტორი სარედაქციო შენიშვნას ურთავს, საიდანაც ჩანს, რომ „ანუკა ბატონიშვილის“ გამოქვეყნებას მთელი პოლემიკა გამოუწვევია, მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა „პარტიები“ შექმნილა და საქმე ისე გამწვავებულა, რომ „ეს ორი მოპარტიენიც, ერთიც და მეორეც, გვემდურებიან „ცისკარზედ“ ხელის მოწერის აღებაზედ“, — დასძენს ივანე კერესელიძე.

გრ. რჩეულიშვილი „ცისკარის“ თანამშრომელი თავიდანვე ყოფილა (1852-54 წლებში), მაგრამ განახლებულ „ცისკარში“ 1857 წლიდან დაწყებული — ვიდრე 1866 წლამდე იგი დაუღალავად შრომობს და „ცისკარის“ ფურცლებზე თითქმის ყოველ ნომერში ქვეყნდება მისი ნაწარმოებები.

ამ წლების განმავლობაში მან მრავალი ორიგინალური და თარგმნილი ლექსი, მოთხრობა, წერილი, პიესა და რომანი გამოაქვეყნა. მის კალამს ეკუთვნის ორი სქელტანიანი რომანის მიან-რიდის „ავრორასა“ და „მარიონ დლორმის აღსარების“ თარგმანი, რომელთა ენობრივი მასალა დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგან პირველად ახალ ქართულ ლიტერატურის უნდა გამოქვეყნდეს მრავალი სიტყვა ნიუანსების გამოსახატავად. გრ. რჩეულიშვილის მოთხრობებში ბევრი რამ არის იმდროისათვის სრულიად ახალი, უჩვეულო, ნოვატორული, როგორც სიუჟეტის აგებულების, ისე ენობრივი თვალსაზრისით.

გაიხსენეთ, თუნდაც, როგორ იწყება ისტორიული რომანი „თამარ საქართველოს ბატონიშვილი“, რა მომჭირნობით და ამავე დროს გამოხსაველობით ხმარობს რჩეულიშვილი სიტყვას:

„მცხეთის ახლო, ღართის კარის გზაზედ, მარჯვნივ, განმხოლოებულს დაბალ მთაზედ სდგას თავმონგრეული კოშკი, რომელიც გაჭყურებს აღმოსავლეთით გიჟაჟ არაგვსა. ამ კოშკს ანუ ბებრის ციხეს იმ დროს, როდესაც იწყება ჩვენი მოთხრობა, დიდ-გულად აედო თავი მალა და არ ეშუებოდა არც კაცის მტერობასა, არც პატიოსანსა. მას უამოდ მეფობდა ლაშა გიორგი.

იყო მარტი და დიდმარხვა...“ გრ. რჩეულიშვილი ნამდვილად ხალხური მწერალი იყო. მას უსაყვედურებდნენ გმირთა ენის „გამდაბიურებას“, მაგრამ — ი. გრიშაშვილი სავებით სამართლიანად შენიშნავს, რომ: „გრ. რჩეულიშვილის ღირსება კი იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი მოთხრობების გმირები, თვალთა მჭერის გადსანაცვლებლად, გამოიყვანა ძველ ჩარჩობიდან, ჩაბბერა აღმანური სული და ყველა-სათვის გახაგებ ენით ააღაპარა. ეს იყო „ახალი“ იმ ხანაში და ეს „სახლენ“ გვიხილავს ჩვენც“. 1866 წელს გრ. რჩეულიშვილს მიუტოვებია

სახელმწიფო სამსახური (მან 1838 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია და მას ქვეთ სახაზინო პალატაში მსახურობდა) და კერძო ნოტარიუსობას მოჰკიდა ხელი. როგორც მრავალმა ნიჭიერმა მწერალმა, რომლებმაც „ფულის მოსაგებად“ რაიმე კომერციულ ან „მომგებიან“ საქმეს მოჰკიდეს ხელი (თუნდაც ბალზაკის კომერციული წამოწყებაში შეიძლება გავისინოთ), ვერც გრიგოლმა ნახა ხელი. ნოტარიალურ კანტორას აუარებელი დრო მიჰქონდა, ამას ავადმყოფობაც დაერთო და მან თითქმის მიანება თავი ლიტერატურულ მუშაობას, თუმცა — „თვალყურს ადევნებდა ადგილობრივ მწერლობას და ნამეტანავდ ქართულ მწიგნობრობასა... წარსულს წლებში ჩვენ ბევრისაგან გაკვრით გავგვიგონია, რომ უფ. რჩეულიშვილს ერთი რაღაც ისტორიული რომანი დაუწერიაო, რომელსაც ყველა თავის რომან-მოთხრობებს ამჯობინებდა. ამბობენ, ვითომც თვითონვე ეთქვა, რომ ამისთანა არაფერი დამიწერიაო“, წერდა ჯაქარია ჭიჭინაძე 1877 წლის 25 სექტემბერს, ე. ი. მწერლის გარდაცვალების დღეებში (იგი 21 სექტემბერს გარდაიცვალა).

ეს რომანი დღემდე არ არის ნაპოვნი... შეიძლება იგი დაიღუპა 1871 წელს, როდესაც დაიწვა შიოყეების სახლი რუსთაველის პროსპექტზე (ახლანდელი ოფიცერთა სახლის ადგილას რომ იყო), სადაც იმ დროს ცხოვრობდა მწერალი. გრ. რჩეულიშვილის დარჩენილი ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულ წარმოდგენას იძლევა იმ როლის შესახებ, რომელიც მან შეასრულა ახალ ქართულ ლიტერატურის განვითარებაში, ამიტომ სრულიად შეუწყნარებელი იყო ის უგულვლად ყოფა მისი დეაქლისა, რომელსაც იჩენდნენ მის დამი ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები.

გრ. რჩეულიშვილის ნაწერები დღეს ბიბლიო-გრაფიულ ინიციატივას წარმოადგენენ, ამიტომ სასიხარულო და მისასალმებელია „საბჭოთა მწერლის“ და „ზარია ვოსტოკის“ გადაწყვეტილება, რათა უახლოეს ხანში გამოსცენ ამ ღირსშესანიშნავი მწერლის რჩეულ თხზულებათა ერთტომეულები ქართულად და რუსულად, აღსანიშნავია, რომ ყოფილ კუკიაში, კლარა ცუტკინის № 86-ში, თვით გრიგოლის მიერ აგებული სახლში, დღესაც ცხოვრობენ ღრმად მოხუცებული მისი ქალიშვილები დარია (დაბადებული 1866 წელს) და მარიამი (დაბადებული 1877 წელს).


უფროსს, დარიას, კარგად ახსოვს მამა და ცოცხლად უამბობს მეგობრებს მის შესახებ, მიუხედავად ხანდაზმულობისა იგი ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით თანამედროვე მწერლების წიგნებს...

კარგი იქნებოდა ამ სახლს, რომელშიც ცხოვრობდა და შრომობდა მწერალი, სათანადო მემორიალური დაფა გაუქმოდეს.

კოტე ჯაპრიშვილი

2. რჩეულიშვილის შვილები (მარჯვნიდან) დარია (96 წლისა), თამარი (91 წლისა) და მარიამი (80 წლისა).





ნახატი ი. ნემსიწვერიძისა.

კოსმოსორღი

პირიზონტალურად:

- 1. მოწყობილობა ნაღმების დასაჭერად. 3. სიჩქარე. 5. მცენარე. 7. ჩეხოსლოვაკური მანქანის მარკა. 8. საფუტკრე. 12. რიცხვი. 13. ჩასაბერი საკრავი. 15. მტაცებელი ფრინველი. 16. მდინარე ესპანეთში. 18. სპორტის სახეობა. 20. ბატკანი. 22. საქარავი ხელსაწყო. 24. ნაპოლეონის მარშალი. 25. ძველი თბილისის უბანი. 27. მდინარე საფრანგეთში. 29. ჭანბადის სახეცვლილება. 31. ქართული ოპერა. 32. ფრანგი განმანათლებელი. 33. საბალეტო მუსიკის კომპოზიტორი. 34. კუნძული საბერძნეთში. 35. თანამედროვე ქართული ჟურნალი. 37. გოკალური ნაწარმოები ერთი ხმისათვის. 38. მზის

- ღმერთი ეგვიპტეში. 39. ნოტა. 40. ცხოველი. 44. მდინარე საქართველოში. 46. ტექნიკური კულტურა. 47. ტემპი მუსიკაში. 50. მდინარის განშტოება. 51. მდგომარეობა, რომელიც დამტკიცებას არ მოითხოვს. 53. იარაღი. 54. ოპტიკური ხელსაწყო. 55. ჯარი. 57. გეომეტრიული ტერმინი. 58. ერთდროული გადასახადი. 59. სუბტროპიკული კულტურა. 61. ფქვილის ნარჩენი. 62. ნიადაგის სახე. 65. „სამი მუშეცურის“ გმირი. 67. ნოტა. 68. ყვავილი. 69. აუდ-მყოფობა. 70. საშენი მასალა. 71. წმიდა ხარი ძველს ეგვიპტეში. 72. მარცხი.

ვერტიკალურად:

- 2. რადიომოწყობილობა. 4. ხე. 6. მდინარე ციმბირში. 9. მთავარი არტერია. 10. მიწის საზომი ერთეული. 11. პირუტყვის საკვები. 12. ხილი. 14. ლიტერატურული ნაწარმოები. 17. თეატრში გამოსაყენებელი ნელსაცხებელი. 18. მწერი. 19. თმის საღებავი. 20. საბჭოთა საცირკო ატრაქციონი. 21. ეგვიპტის ღვთაება. 23. წონის ერთეული. 26. სოფელი აჭარაში. 28. ქალაქი ევროპაში. 30. მცენარეული ცხიმი. 31. თუთიყუში. 37. 6. ლომოურის მოთხრობა. 41. ა. პუშკინის ლექსი. 42. ქალაქი ციმბირში. 43. უდაბნო აფრიკაში. 45. ფრანგი პოეტი. 46. ტყე ციმბირში. 48. მდინარე გერმანიაში. 49. სახელმწიფო აზიაში. 52. ტანსაცმელი. 56. მხარე ციმბირში. 57. საზოგადოებრივი ხელსაწყო. 58. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში. 60. ქართველი მწერლის სახელი. 64. ცხოველი. 66. პორტი შავ ზღვაზე.

შურს „დროშის“ № 11-ში გამომცემებული კოსმოსორღის პასუხი


ვერტიკალურად:

- 1. პურგა. 2. ისანი. 4. ებრო. 5. მარულა. 6. ზიჩი. 8. სკამი. 9. ზებრა. 10. ტიკა. 11. კალია. 13. ზაგრა. 14. ზუალი. 15. ორი. 17. ერა. 19. მულონი. 21. ლიდერი. 22. გობოი. 24. კობა. 27. ზოია. 28. სვერო. 30. ანტაგონისტი. 31. სეისმოგრაფი. 32. ფსიქიატრი. 34. ავანგარდი. 35. ალოე. 36. ფესტივალი. 37. ვენესუელა. 41. ლისტი. 43. ალტაი. 52. რომი. 54. ენდრო. 55. პარისი. 56. იბერია. 58. იოანი. 60. აკრი. 61. მიზე. 65. ხონდო. 66. კუსო. 69. რკო. 70. ატაშე. 72. ფაუნა. 73. ტაო. 75. ოტელი. 76. კაირო. 80. ლატვია. 81. სამბო. 82. მასა. 83. ლიხი. 84. იანტა.

პირიზონტალურად:


- 3. ფურეი. 6. ზევსი. 7. აბსოლუტიზმი. 12. ჯამბაზები. 15. ომი. 16. ლიე. 18. გობოი. 20. ალტი. 23. ჩაიკა. 25. ურალი. 26. აზატი. 29. ქორდა. 31. სეიფი. 33. „ბროლა“. 36. ფიელი. 38. ტოსკა. 39. არეზი. 40. იდეა. 42. ისაკოვსკი. 44. სარი. 45. ქიშია. 46. კლიშე. 47. დემონი. 48. პუგო. 49. ეიზი. 50. სმოლნი. 51. აზატი. 53. ტარტუ. 54. ერგი. 55. მოქმედი პირი. 57. რელე. 59. სურმა. 61. ბულბა. 62. კლერკი. 63. იდალი. 64. არჩვი. 67. იოანი. 68. სირია. 71. სოკეი. 72. ფეტვი. 74. ტრიო. 76. კამა. 77. სასოტბო. 78. ურო. 79. რეველუტა. 81. სტომატოლოგი. 85. ობობა. 86. იალტა.

გარეკანის პირველ გვერდზე: ქიათურის ფართოლიან-დავანი რკინიგზა. ფერადი ფოტო რ. აკოფოვისა მეოთხე გვერდზე: გვიანი შემოდგომა, ფოტოეტიუდი ვ. ჯეირანოვისა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



სოხუმის სანაპირო.

ფოტოგრაფი ფ. თიქანაძის.

10
4

18 8/40



ეროვნული
ბოტანიკური

